შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№36 (9.701)

3-10 ოქტომბერი 2015 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

სარწყავი სისტემა – 30 წლის შემდეგ

„ქართული ოცნება“ მოსახლეობისთვის მიცემულ კიდევ ერთ დანაპირებს ასრულებს. სოფელ ფიროსმანში, რომელიც საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან მდებარეობს და რომლის მოსახლეობაც „ცოცხალი საზღვრის“ ფუნქციას ასრულებს, 30 წლიანი პაუზის შემდეგ, სარწყავი სისტემის აღდგენა დაიწყო.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ მექანიკური მორწყვის სისტემების რეაბილიტაციას იწყებს. სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე სოლომონ ღორაშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე დავით გალეგაშვილი და შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი ლევან დვალი გაეცნენ.

პროექტის ფარგლებში მოეწყობა ახალი 4,34 კმ-იანი სადაწნეო მილსადენი, აშენდება სატუმბი სადგური. პროექტის დასრულების შემდეგ, 2016 წლის სარწყავი სეზონისათვის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ორი სოფლის მოსახლეობა ისარგებლებს წყლით დაახლოებით 1 200 ჰექტარი სავარგულების მოსარწყავად. პროექტის ღირებულებაა 5 მილიონი ლარი. გარდა აღნიშნული პროექტისა, შპს „საქართველოს მელიორაცია“ კახეთის რეგიონში დღეისათვის სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 8, ხოლო საქართველოს მასშტაბით 25 სარეაბილიტაციო პროექტს ახორციელებს.

„25 წელია, რაც საქართველოს საზღვარზე მდებარე სოფელ ფიროსმანში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები არ ჩატარებულა. ჩვენ დავიწყეთ რამდენიმე მილიონიანი პროექტი. 1 200 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული გასარწყავდება, რაც მოსახლეობის შემოსავლის ზრდას შეუწყობს ხელს“,-აღნიშნა დავით გალეგაშვილმა.

სარწყავი სისტემის მოწყობა სოფლის მოსახლეობის ცხოვრებას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს-აცხადებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი. „ეს ფაქტი ფიროსმანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ჩვენი რეგიონი გვალვიან ზონაში მდებარეობს, ამიტომ სამელიორაციო სისტემის მოშლის გამო დაეცა მიწის ტენიანობა, ამ ფაქტორმა კი მოსავლიანობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა- 300 ჰექტარზე მევენახეს მხოლოდ 80 ტონა ყურძენი მოჰყავდა. ამის გამო დაიწყო სოფლის მიგრაცია. მოგეხსენებათ, ფიროსმანი საზღვრისპირა სოფელია, აქ მცხოვრები მოსახლეობა კი ცოცხალი საზღვრის ფუნქციას ასრულებს, სოფლის დაცლის შემთხვევაში ის მთავარ ფუნქციას კარგავდა. ამიტომ მიიღო მთავრობამ გადაწყვეტილება, მოეხდინა სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია. ამ ფაქტმა უკვე შეაჩერა მიგრაცია“-ამბობს ჩვენთან საუბრისას ნიკოლოზ ჯანიაშვილი.

ფიროსმანის რწმუნებული ვალიკო აბაშიძე იმ წლებს იხსენებს, როცა მოქმედი სარწყავი სისტემა მოშალეს და ჯართის სახით კაპიკებად გაყიდეს უცხოეთში. ამ ქმედებამ თავისი შედეგი მოიტანა-ურწყავ ზონაში შემცირდა ყურძნის მოსავლიანობა, ბევრი მევენახე იძულებული გახდა, წინა ხელისუფლების დროს, ვენახი გაეჩეხა, რადგან მწირ მოსავალთან ერთად ყურძნის რეალიზაციის პრობლემაც შეექმნა. ამის გამო ბევრმა ოჯახმა გადაწყვიტა სოფლის დატოვება, რადგან ბანკიდან აღებული ვალების გამო საცხოვრებელი სახლები დაყადაღებული ჰქონდათ. „თავის დროზე ფიროსმანის საჯარო სკოლაში 300-ზე მეტი მოსწავლე სწავლობდა, ახლა კი მათი რაოდენობა მხოლოდ 80-ს შეადგენს. 300 ჰექტარზე 80-96 ტონა ყურძენილა მოდის, ისიც საკმაოდ დაბალი ხარისხის, რადგან არ ირწყვება. ყურძნის ჩაბარებაში სახელმწიფო დაგვეხმარა, თორემ მისი რეალიზაცია ნამდვილად გაგვიჭირდებოდა. ამ სისტემის აღდგენით „ქართულმა ოცნებამ“ 30 წლიანი ოცნება აგვისრულა. ამისთვის დიდი მადლობა ჩვენი რაიონის პირველ პირებს, კახეთის გუბერნატორს, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს , სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მთავრობას. ფიროსმანი კარგი სოფელია, ნიადაგი ნაყოფიერი, მაგრამ გამოფიტული. ახლა კი ყველას იმედი გაუჩნდა, რომ ვენახების მორწყვით ყურძნის კარგ მოსავალს ისევ მოიყვანენ, ასევე მოსახლეობის სურვილია, გააშენონ მრავალწლიანი ნარგავებიც... აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ფიროსმანის გარდა, სამთაწყაროს ვენახებსაც მოემსახურება აღნიშნული სამელიორაციო სისტემა.“-ოპტიმისტურ განწყობას გვიზიარებს ფიროსმანის რწმუნებული.

„ჩვენი სოფლისთვის ეს პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია. თუ აქამდე სოფლის მცხოვრებლები აქედან დასავლეთში აპირებდნენ წასვლას, ამ პროექტის საფუძველზე პირიქით წასული ხალხი უკან ბრუნდება. სოფელს 300 ჰექტარი ვენახი აქვს და დავკრიფეთ 165 ტონა ყურძენი. როდესაც ეს პროექტი განხორციელდება 3000 ტონა ყურძენს დავკრეფთ. 3000 ტონა ყურძნის დაკრეფა ნიშნავს იმას, რომ წლის განმავლობაში 2 მილიონ ლარამდე მოსახლეობას შემოსავალი ექნება. რომ დავიანგარიშოთ, ერთ ოჯახს 10 ათასი ლარი მაინც ექნება. ასე, რომ სარწყავი სისტემის გაკეთების შემდეგ სოფელი აღორძინდება“ - განაცხადა ფიროსმანში მცხოვრებმა რეზო ზოიძემ.

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილი

ევროპული დიპლომი ქიზიყის საკვიზიტო ბარათს

28 სექტემბერი ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დღე იყო. ამ დღეს ოფიციალურად განხორციელდა ის ცერემონია, რომლის შესახებაც ორი თვის წინ ვიუწყებოდით. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები საქართველოში პირველია, რომელიც ევროპული დიპლომის მფლობელი გახდა. დედოფლისწყაროში მდებარე დაცულ ტერიტორიებს ევროპული დიპლომი ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის დადგენილებით, 5 წლის ვადით გადაეცა. ევროპული დიპლომი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს, გიგლა აგულაშვილს და ნაკრძალის ხელმძღვანელს მერაბ ფიროსმანაშვილს ევროპის საბჭოს დემოკრატიული ინიციატივების დეპარტამენტის თავმჯდომარემ - ელადიო ფერნანდეს-გალიანომ გადასცა.

ცერემონიას საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი, მინისტრის მოადგილე ეკატერინე გრიგალავა, ევროპის საბჭოს დემოკრატიული ინიციატივების დეპარტამენტის თავმჯდომარე ელადიო ფერნანდეს-გალიანო, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე ლაშა მოისწრაფიშვილი, საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაციის, დონორი ორგანიზაციებისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალი, ვაშლოვანის ეროვნული პარკი და სამი ბუნების ძეგლი - ტახტი-თეფას ტალახის ვულკანი, ალაზნის ჭალის ტყე და არწივის ხეობა, ევროპული დიპლომის კანდიდატად დაცული ტერიტორიების სააგენტომ

(გაგრძელება გვ.3)

„ქართული ოცნება ჯანმრთელი მომავლის“ კიდევ ერთი აქცია

გვ.4

ექიმსაც სჭირდება უფლის შეწევნა და თანადგომა

გვ.5

ხანდაზმულთა მდგომარეობა საქართველოში

გვ.4

„კოლხური ხოხბის აღდგენა მნიშვნელოვანია“...



გვ.8

C M Y K

ირაკლი ღარიბაშვილი: რუსეთი კვლავ აგრძელებს ოკუპაციას და მცოცავ ანექსიას

„რუსეთმა ე.წ. ინტეგრაციის შესახებ შეთანხმებები გააფორმა ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან, კვლავ ხდება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაცია, მცოცავი ანექსია, ხოლო ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებს წართმეული აქვთ ძირითადი უფლებები“, - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე სიტყვით გამოსვლის დროს. ირაკლი ღარიბაშვილმა ხაზი გაუსვა მზადყოფნას, შემდგომშიც გაგრძელდეს აღებული კურსი რუსეთის ფედერაციასთან პასუხისმგებლური და კონსტრუქტიული თანამშროლობის დამყარებისაკენ. თუმცა, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგება არ მოხდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის ხარჯზე. საქართველოს პრემიერ-მინისტრი გამოვიდა იდეით „აბრეშუმის გზის“ საერთაშორისო ფორუმის დაფუძნების შესახებ.

სასჯელაღსრულების სისტემაში განხორციელებულ რეფორმებს ავსტრიის დელეგაცია გაეცნო

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ავსტრიის დელეგაცია ეწვია. როგორც “ინტერპრესნიუსს” სასჯელაღსრულების სამინისტროდან აცნობეს, დელეგაციას ვენის სააპელაციო სასამართლოს პალატის თავმჯდომარე მარიამ ვანკე-ცერვენკა ხელმძღვანელობს.

მათივე ინფორმაციით, დელეგაცია, რომელშიც ავსტრიელი მოსამართლეები, პროკურორები და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები შედიან, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის პირველ მოადგილეს თამარ ხულორდავას შეხვდა.

თამარ ხულორდავამ სტუმრებს სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა. მან პენიტენციურ სისტემაში ადრე არსებულ ვითარებაზე და 2012 წლის შემდეგ განხორციელებულ ცვლილებებზე გაამახვილა ყურადღება. მინისტრის პირველმა მოადგილემ საკანონმდებლო რეგულაციებზე, მსჯავრდებულთა პირობების გაუმჯობესებაზე, სისტემაში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, ასევე, პენიტენციური ჯანდაცვის პროგრამაზე ისაუბრა.

როგორც მან აღნიშნა, პენიტენციური სისტემის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა სასჯელაღსრულების სამინისტროს პრიორიტეტია.

მისი თქმით, მთლიანად შეიცვალა ამ კუთხით არსებული მიდგომა და მსჯავრდებულს საშუალება აქვს სასჯელი სათანადო პირობებში მოიხადოს. სამინისტრო მუშაობს ისეთი პროგრამების დანერგვაზე, რომელიც მსჯავრდებულებს შესაძლებლობას აძლევს ჩაერთონ სხვადასხვა სოციალურ და სარეაბილიტაციო პროგრამაში და სასჯელის ვადის ამოწურვის შემდეგ, საზოგადოებას სრულფასოვან წევრებად დაუბრუნდნენ. სტუმრებმა პრობაციის ეროვნული სააგენტოს მუშაობისა და სერვისების შესახებაც მიიღეს ინფორმაცია.

“დღეს ავსტრიის დელეგაციას ვუმასპინძლეთ. დელეგაცია წარმომადგენლობითია და მასში ავსტრიის უზენაესი, სააპელაციო და რაიონული სასამართლოების, გენერალური და რაიონული პროკურატურების, ასევე, იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები შედიან. მათი შეხვედრების მიზანია საქართველოს იუსტიციის, მართლმსაჯულების და სასჯელაღსრულების სისტემის გაცნობა. სტუმრებს მივაწოდეთ ინფორმაცია სასჯელაღსრულების სისტემაში, ასევე, პრობაციის სფეროში არსებულ ვითარებაზე. გარდა ამისა, ვისაუბრეთ, როგორც გამოცდილებაზე, ასევე, სამომავლო გეგმებსა და თანამშრომლობის პერსპექტივებზე”, - განაცხადა თამარ ხულორდავამ და თანამშრომლობის გაღრმავების იმედი გამოთქვა.

დელეგაციის ხელმძღვანელმა, ვენის სააპელაციო სასამართლოს პალატის თავმჯდომარემ მარიამ ვანკე-ცერვენკამ შეხვედრა დადებითად შეაფასა.

“დღევანდელი შეხვედრა ჩემთვის და ჩემი კოლეგებისთვის ძალიან საინტერესო იყო. საქართველო ავსტრიისთვის ახლობელი ქვეყანაა. სასჯელაღსრულების სფეროში გამოწვევები ყველა ქვეყანაში თითქმის ერთნაირია. გვაინტერესებს ამ კუთხით როგორ მიდის განვითარება, რა მიზნები და გეგმები აქვს საქართველოს. გარდა ამისა, ვინტერესდებით იმით, თუ რისი გაუმჯობესებაა შესაძლებელი აღნიშნულ სფეროში როგორც თქვენს, ასევე, ჩვენს ქვეყანაში. ამასთან, მოხარული ვიქნები, თუ თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება”, - განაცხადა მარიამ ვანკე-ცერვენკამ.

დელეგაციის წევრები საქართველოში ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს უზენაეს სასამართლოში, იუსტიციის სამინისტროში და სხვა უწყებებშიც გამართავენ შეხვედრებს.

თეა წულუკიანი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ტრაგედიას ვერ ხედავს

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ტრაგედიას ვერ ხედავს , - ასე გამოეხმაურა თეა წულუკიანი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებულ რეზოლუციას, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილე ქვეყნებში წინასწარი პატიმრობის ბოროტად გამოყენებას ეხება და მათ შორის საქართველოში წინასწარი პატიმრობის კუთხით არსებულ დარღვევებს აკრიტიკებს.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, ძალიან კარგია ის, რომ რეზოლუციაში არ მოხვდა ის ჩანაფიქრი, რაც იყო თავიდან და რაზეც ბევრი ადამიანი მუშაობდა.

“ეს ეხებოდა იმას, რომ რეზოლუციის ტექსტში პირდაპირ მოეწოდებინა ასამბლეას, რომ საქართველოს მოსამართლემ ციხიდან გაუშვას უგულავა, მერაბიშვილი, ახალაია. ეს ჩანაწერი ამ რეზოლუციაში ასეთი სახით ვერ მოხვდა და ეს იყო ჩემთვის მთავარი. დანარჩენი არის დეტალები. ის, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ძალიან დიდი მნიშვნელობის გადაწყვეტილება გამოიტანა და ამ მხრივ კანონი უნდა გასწორდეს, ეს ისედაც ვიცით. წლის ბოლომდე გასწორდება კიდეც და ეს არ არის პრობლემა. მთავარია ის, რომ ვერავინ ვერ მიუთითებს ვერც ქვეყნის შიგნით და ვერც გარედან ქართველ მოსამართლეს ვინ უნდა გამოუშვას ციხიდან და ვინ - არა. ეს მოწოდება რეზოლუციიდან ამოვარდნილია”, - განაცხადა წულუკიანმა.

როგორც იუსტიციის მინისტრმა აღნიშნა, ბევრი სხვა ჩანაფიქრით იყო, რომ ქართული მართლმსაჯულების რეფორმები დაკნინებულიყო ევროპის თვალში, მაგრამ “ჩვენ ამის საშუალება მავანს არ მივეცით”.

რაც შეეხება ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებულ რეზოლუციას, თეა წულუკიანი ამაში ტრაგედიას ვერ ხედავს.

“მთავარია, რომ არ არის მოწოდება და მითითება ქართველი მოსამართლისადმი, თუ როგორ მოიქცეს და არ არის დაკნინებული ის რეფორმები, რასაც ჩვენ ვატარებთ. პირიქით, რეზოლუციაში წერია, რომ შემცირებულია წინასწარი პატიმრობები, მაგრამ ყველა წევრ ქვეყანაში უფრო მეტია გასაკეთებელი. ასევე მიხარია, რომ ეს რეზოლუცია თუკი თავიდან იყო ჩაფიქრებული, რომ მხოლოდ თურქეთზე, მხოლოდ საქართველოზე და მხოლოდ რუსეთზე ყოფილიყო და ოპოზიციას უხაროდა, თუკი საქართველო რუსეთის გვერდით იქნებოდა გაკრიტიკებული, ეს ვერ მოხერხდა და რეზოლუცია ეხება ყველა წევრ სახელმწიფოს, ანუ 47 ქვეყანას”, - განაცხადა თეა წულუკიანმა.

გარემოს ეროვნული სააგენტო სტუდენტებს სპეციალურ სივრცეს სთავაზობს

გარემოს ეროვნული სააგენტო სტუდენტებს სპეციალურ სივრცეს სთავაზობს. როგორც გარემოს დაცვის სამინისტროდან გვაცნობეს, სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ გარემოს ეროვნული სააგენტოს ფუნქციებიდან გამომდინარე მთთვის საინტერესო და აქტუალურ საკითხებზე იმსჯელონ, მოისმინონ სპეციალისტების შეფასებები და პროფესიული ცოდნა აიმაღლონ.

„NEA სფეროს“ პირველი სტუმრები გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი და სააგენტოს უფროსი თამარ ბაგრატია იყვნენ. სტუდენტებს შესაძლებლობა ქონდათ მათთვის საინტერესო კითხვებზე პასუხები პირადად მინისტრისგან მიეღოთ და მის სამომავლო გეგმებს გაცნობოდნენ.

„NEA სფერო“ სტუდენტებს ყოველ ხუთშაბათს 18.00 საათიდან უმასპინძლებს. მათ როგორც გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები, ასევე მოწვეული სტუმრები ლექციებსა და სემინარებს ჩაუტარებენ, სტუდენტებს ასევე ექნებათ საშუალება საკუთარი კვლევები და მოსაზრებები გააცნონ ექსპერტებს.

სტუდენტებისთვის „NEA სფეროში“ განსაკუთრებული გარემო იქნება შექმნილი, სადაც მათ ცოდნისა და გამოცდილების მიღება შეეძლებათ.

გიორგი კვირიკაშვილი – ჩვენ, განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ თანამოქალაქეებთან ნდობის აღდგენას

გაერო-ს გენერალური ასამბლეის მაღალი დონის თემატურ სესიაზე სიტყვით გამოსვლისას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა , ვიცე-პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღება ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევის ფაქტებზე შეაჩერა.

“ადმიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სიტუაცია ოკუპირებულ რეგიონებში კვლავ არასტაბილურია. სამოქალაქო მოსახლეობა მოკლებულია საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დაცვის, მათ შორის, თავისუფალი გადაადგილებისა და მშობლიურ ენაზე განათლების მიღების მინიმალურ გარანტიებს. საოკუპაციო ხაზის გასწვრივ რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ აღმართული მავთულხლართები და სხვა ხელოვნური ბარიერები კვლავ მნიშვნელოვნად აფერხებს ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებას და ზღუდავს მათ სამოქალაქო, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებებს”, - განაცხადა მინისტრმა.

გაეროს თემატურ სესიაზე სიტყვით გამოსვლისას გიორგი კვირიკაშვილმა ასევე ისაუბრა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში საერთაშორისო მონიტორინგის არსებობის აუცილებლობაზე.

“განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ ოკუპირებულ რეგიონებში არ მოქმედებს არც ერთი საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმი. საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მიუხედავად მათი მრავალგზის მცდელობისა, კვლავ უარს ეუბნებიან აღნიშნულ რეგიონებში შესვლაზე. გაეროს ადამიანის უფლებათა ყოფილი უმაღლესი კომისრის ნავი პილაის თქმით, რომელსაც ასევე უარი უთხრეს შესვლაზე, ცხინვალის რეგიონი იქცა “შავ ხვრელად” და ერთ-ერთ ყველაზე ძნელად შეღწევად ადგილად დედამიწაზე, სადაც საერთაშორისო ორგანიზაციებს შესვლის არანაირი შესაძლებლობა არ ეძლევათ”, - აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

მისი თქმით საქართველო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ თანამოქალაქეებთან ნდობის აღდგენასა და უთანხმოებების აღმოფხვრის საქმეებს. “ სრულად ვაცნობიერებთ, რომ შერიგების პროცესი, რომელიც კონფლიქტის შეწყვეტისკენაა მიმართული, ყველა მხარის უდიდეს ძალისხმევასა და თავდადებას საჭიროებს, და მზად ვართ ჩვენი წვლილი შევიტანოთ ამ პროცესში”, -დასძინა მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილის სიტყვით გამოსვლის შესახებ ინფორმაციას საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახური ავრცელებს.

საქართველოში ვიზიტორების რაოდენობა 12%-ით გაიზარდა

შს სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ინფორმაციით, სექტემბრის თვეში ვიზიტორების ჯამური რაოდენობა 568 663 იყო, რაც 12.6%-ით მეტია 2014 წლის ანალოგიური საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელზე. აქედან, ტურისტი 227 130 იყო, რაც წინა წინა წლის მაჩვენებელს 15.8%-ით აღემატება.

შემოღებული პირობითი დაყოფის მიხედვით, ხვედრითი წილის ურთიერთმიმართება შემდეგია:

ტრანზიტი - 143 258 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 25,2%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 10,4%); სხვა - 198 275 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 34,9%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 10,8%).

რაც შეეხება იანვარ-სექტემბრის ინტერვალს, ქვეყანაში უკვე 4 491 039 ვიზიტი განხორციელდა, რაც 6,7%-ით მეტია 2014 წლის ანალოგიური საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელზე.

2015 წლის სექტემბერშიც ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ თურქეთიდან (+9%), სომხეთიდან (+6,9%), აზერბაიჯანიდან (+6%), რუსეთიდან (+12,6%) და უკრაინიდან (+11,7%) განხორციელდა. ასევე, პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-სექტემბერშიც გამოირჩნენ ლიტვა, დიდი ბრიტანეთი, იტალია, გერმანია და ლატვია (შესაბამისად 20%, 17%, 12%, 12% და 11%), შუა აზიის ქვეყნებიდან - ყაზახეთი (34%), აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან - ბელორუსია (54%), ახლო აღმოსავლეთიდან - ისრაელი (38%), ხოლო აზიის ქვეყნებიდან - არაბათა გაერთიანებული საემიროები 814% და საუდის არაბეთი - 84%-იანი მატებით. აქვე აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეების 9%-იანი ზრდა.

პრემიერის გამოსვლა გაეროს გენერალური ასამბლეის 70-ე სესიაზე

ნება მომეცით, გაგიზიაროთ ჩემი ქართული ოცნება,—ამ სიტყვებით მიმართა გაეროს გენერალური ასამბლეის 70-ე სესიის მონაწილეებს საქართველოს პრემიერ—მინისტრმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა მსოფლიო ლიდერებს საქართველოს გეგმები და მიმდინარე მნიშვნელოვანი პროექტები გააცნო.

„ჩვენი გეგმის მიზანია ეკონომიკური ზრდის მიღწევა, მმართველობის ინსტიტუტების განმტკიცება, მეტი სამუშაო ადგილის შექმნა და ჩვენი ხალხისთვის მეტი შესაძლებლობის მიწოდება. ზრდის უზრუნველსაყოფად ჩვენ ვაქცევთ საქართველოს ისეთ ადგილად, სადაც ბიზნესის წარმოება ხელსაყრელია და უცხოური ინვესტიციების განხორციელება მიმზიდველი. 2014 წლიდან დღემდე ჩვენ შევქმენით 90 000 ახალი სამუშაო ადგილი საქართველოს ეკონომიკის ყველა სექტორში, სოფლის მეურნეობის, წარმოების, ტურიზმისა და ენერგეტიკის ჩათვლით. საქართველოში ბიზნესის წარმოება მარტივია. უცხოური და ადგილობრივი ბიზნესები თავისუფლად ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას კონკურენტულ გარემოში, რომელშიც კერძო საკუთრების უფლების დაცვა გარანტირებულია,“—განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

მისი თქმით, მსოფლიო ბანკის რეიტინგების თანახმად, ბიზნესის წარმოების სიმარტივის თვალსაზრისით საქართველო მე-15 ადგილზეა მსოფლიოში. 2014 წელს, საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობა გაიზარდა 87 პროცენტით, რაც ყველაზე დიდი მაჩვენებელია 2007 წლის შემდეგ.

„გარდა ამისა, საქართველო ჩამოყალიბდა, როგორც წამყვანი ტურისტული ცენტრი და მნიშვნელოვანი საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების ჩატარების ადგილი. მსოფლიოში ცნობილი გახდა, რომ საქართველოს აქვს ყველაფერი: უმშვენიერესი პლაჟები და გამაოგნებელი სათხილამურო კურორტები, დახვეწილი კულინარიული ტრადიციები, განსაკუთრებული ღვინო, უნიკალური ისტორიული ძეგლები და მსოფლიო დონის სასტუმრო სექტორი,“ — აღნიშნა პრემიერმა.

გაეროს გენერალური ასამბლეის 70-ე სესიაზე სიტყვის გამოსვლის დასასრულს, მთავრობის მეთაურმა საქართველოს მიზნად მშვიდობიანი, სტაბილური, განვითარებული მომავალი დასახა.

„მე ვხედავ ქვეყანას, სადაც ყველა ყმაწვილსა და გოგონას ხელი მიუწვდება ხარისხიან განათლებაზე, რათა მათ ჰქონდეთ უფლისგან ბოძებული ნიჭის განვითარების შესაძლებლობა. მე ვხედავ ქვეყანას, სადაც ადამიანებს არ აშინებთ ჯანდაცვისა თუ თავიანთი ოჯახების დაცვისთვის, კეთილდღეობისა და ხვალინდელი დღის უზრუნველსაყოფად აუცილებელი რესურსების არარსებობა. მე ვხედავ აყვავებულ ქვეყანას, რომელიც იყენებს თავის მდებარეობას, როგორც სასიცოცხლო მნიშვნელობის გზაჯვარედინი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს. მე ვხედავ სახელმწიფოს, რომელიც ერთგულად ემსახურება მეზობლებს შორის მშვიდობის დამყარებისა და ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების ხელშეწყობის საქმეს. მე ვხედავ ქვეყანას, როგორც სამეზობლოში სიკეთისა და სტაბილურობის მხარდამჭერ ძალას, რომელიც ასრულებს თავის ვალდებულებებს, როგორც ეს შეშვენის მსოფლიოს მოქალაქეს,“—განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ევროპული დიპლომი ქიზიყის სავიზიტო ბარათს

(პირველი გვერდიდან)

2014 წელს წარადგინა, როგორც სამაგალითო მენეჯმენტის, ბუნების კონსერვაციის თვალსაზრისით წარმატებული და ევროპული მასშტაბის მნიშვნელობის მქონე ბიოლოგიური და გეოლოგიური ობიექტი.

„მოხარული ვარ, რომ ევროპის საბჭოს სახელით მე ვიმყოფები თქვენთან. ასევე დიდი პატივია ევროპული დიპლომის ქონა, ეს ნაბიჯი გამოხატავს ევროპის ინტერესს ვაშლოვანის მიმართ, მაგრამ ბატონ მერაბ ფიროსმანაშვილს ვეუბნებოდი, რომ ამასთან ერთად დიდი პასუხისმგებლობაცაა. ეს ერთგვარად კარგი მენეჯმენტის აღიარებაცაა, რითაც ბოლო წლებში ამ დაცულ ტერიტორიებს მართავდით. ეს ყველა ადამიანის დამსახურებაა. თქვენ უნდა იყოთ ძალიან ამაყები, ეს არის საქართველოსთვის პირველი შემთხვევა. ეს დიპლომი ეძღვნება ყველას, ვისაც სჯერა. ლანდშაფტების მრავალფეროვნება მნიშვნელოვანი იყო. თუ მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში ორ პირობას დაიცავენ, შემდეგ კიდევ განახლდეს დიპლომი. ეს პირობაა: დაცული ტერიტორიებიდან გაიტანონ მეცხოვლეობის ფერმები, შენობები და ძოვება იყოს გაკონტროლებული,“ – აღნიშნა ელადიო ფერნანდეს-გალიანომ.

გიგლა აგულაშვილი (გარემოს დაცვის მინისტრი): „სხვა დაცულმა ტერირტორიებმა უკვე მიიღეს გამოწვევა, თავადაც სცადონ ამ ღირსეული დოკუმენტის მოპოვება. ვაშლოვანისთვის მნიშვნელოვანი დღეა, რადგან ეს არის დაფასება არა მხოლოდ დაცული ტერიტორიების, არამედ მენეჯმენტის, რომელიც პროცესს მართავს. შემიძლია გითხრათ, რომ ვაშლოვანის ადმინისტრაცია, დაცული ტერიტორიების სააგენტო და გარემოს დაცვის სამინისტრო ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რომ 2020 წელს ამ დიპლომის ვადის გაგრძელება მოხდეს, რადგან ვაშლოვანის ცნობადობა და უნიკალურობა მთელი ევროპის მასშტაბით კიდევ უფრო გაიზარდოს და ჩვენ ბევრი გეგმა გვაქვს ამ მიმართულებით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს არის გამოწვევა არა მხოლოდ ვაშლოვანისთვის, არამედ სხვა დაცული ტერიტორიებისთვისაც. უკვე გვაქვს მწვერვალი, რომელსაც ყველამ უნდა მიაღწიოს“.

მერაბ ფიროსმანაშვილი (ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების დირექტორი): „დიდი მონაპოვარია, რომელიც თითოეული თანამშრომლის და ყველა უწყების დამსახურებაა. ევროპული დიპლომი ეს არის ლოგოს მინიჭება, რაც ხელს შეუწყობს ვიზიტორთა კიდევ უფრო მოზიდვას. მოლოდინი დიდი გვაქვს, ტურისტების ნაკადის ზრდა უკვე შეინიშნება და იმედი გვაქვს, ასე გაგრძელდება. ჩვენ იგივე ტემპით გავაგრძელებთ მუშაობას და ენერგიას არ დავიშურებთ, რომ ვადის ამოწურვის შემდეგ დიპლომი კიდევ მოვიპოვოთ“.

მსგავსი დიპლომი ევროპის მასშტაბით მხოლოდ 28 ქვეყნის 73 დაცულ ტერიტორიას აქვს მინიჭებული. იგი სამეცნიერო, კულტურული ან ესთეტიკური ღირებულებების თვალსაზრისით გამორჩეულ დაცულ ტერიტორიებს განსაზღვრული ვადით გადაეცემა.

2015 წლის 3 ივნისს, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სხდომაზე მიღებულ იქნა ევროპის საბჭოს განათლებაზე, კულტურაზე, სპორტზე, ახალგაზრდობასა და გარემოს დაცვაზე მომხსენებელი ჯგუფის (GR-C) 26 მაისის გადაწყვეტილება ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებისთვის ევროპული დიპლომის გადაცემის შესახებ.

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების (ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალი, ვაშლოვანის ეროვნული პარკი, და სამი ბუნების ძეგლის(ტახტი-თეფას ტალახის ვულკანი, ალაზნის ჭალის ტყე და არწივის ხეობა) ევროპული დიპლომის კანდიდატად წარდგენა დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ, 2014 წლის დასაწყისში მოხდა. საფრანგეთში, ქალაქ სტრასბურგში დაცული ტერიტორიებისათვის ევროპული დიპლომის მინიჭების თაობაზე სამუშაო შეხვედრა 13 მარტს გაიმართა.

აღნიშნული დიპლომი 5 წლის ვადით გადაეცემა ევროპაში დაცულ ტერიტორიებს, რომლებიც გამოირჩევიან სამეცნიერო, კულტურული ან ესთეტიკური ღირებულების თვალსაზრისით და წარმოადგენენ ბუნების საუკეთესო კონსერვაციის მაგალითს.

მნიშვნელოვანია, რომ ევროპული დიპლომი ევროპული გამოცდილების მიღებასთან ერთად, ხელს შეუწყობს საქართველოში ნაკრძალების დაცულობის ხარისხის მატებას, მათ საერთაშორისო დონეზე აღიარებასა და პოპულარიზაციას.

დაცული ტერიტორების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი ბერიძე ამბობს, რომ ვაშლოვანის ნაკრძალი საქართველოში პირველი დაცული ტერიტორიაა, რომელმაც ევროპული დიპლომის მოპოვება შეძლო.

„დიპლომი ძალიან მნიშვნელოვანია ცნობადობისთვის. ეს ტურისტების მოზიდვას შეუწყობს ხელს. რა თქმა უნდა, დონორებთან ურთიერთობისთვის და ფინანსების მოსაზიდადაც მნიშვნელოვანია. ადგილობრივი პროდუქციისთვის, თუ ევროსტანდარტებით აწარმოებენ — იქაური მატყლი, ყველი, ან თაფლი და ასე შემდეგ — შესაძლებელი იქნება მისთვის ევროდიპლომის ემბლემის მინიჭება, რაც კიდევ უფრო გაზრდის პროდუქტის ევროპაში გასვლის შანსებს.

ევროდიპლომის გადაცემა გულისხმობს ევროსტანდარტების არსებობას დაცულ ტერიტორიაზე. ევროკავშირის ექსპერტებმა შეისწავლეს ვაშლოვანის დაცული ტერიტორია და მოამზადეს ანგარიში. ნახეს სტეპების და უდაბნოს სინთეზი, ცხოველთა სამყარო და მცენარეული საფარი. შეამოწმეს, მენეჯმენტის გეგმა არსებობდა თუ არა, რამდენად მდგრადი დაფინანსება აქვს დაცულ ტერიტორიას. დიპლომის მისანიჭებლად ტერიტორია აუცილებლად უნდა გამოირჩეოდეს ბიომრავალფეროვნებით. ეს ყველაფერი შეჯამდა. გავიდა ევროკომისიაზე, სადაც დაცული ტერიტორიების წარმომადგენელი და ეროვნული პარკის წარმომადგენელი ვიყავით მიწვეული. იყო დებატები ამ საკითხთან დაკავშირებით. გამოკვეთეს რისკები, წამოგვიყენეს პირობები. მათ სურდათ, ცხვრის ძოვების შეზღუდვა. ჩვენ ჩვენი პოზიცია დავიცავით, ვუთხარით, რომ ცხვარი იქაური ეკოსისტემის ნაწილია, ტრადიციული მეურნეობაა. ამაზე ბევრი მხარდამჭერი გვყავდა ევროკომისიაში.

მათ მოგვცეს რეკომენდაციები, რომ შევინარჩუნოთ მდგრადი განვითარება, ადგილობრივი პერსონალისთვის ჩავატაროთ ტრენინგები. ევროკავშირს აქვს ვაშლოვანის ტერიტორიებთან დაკავშირებით პროექტი, რომელიც გულისხმობს საძოვრების მართვის გეგმის შემუშავებას, რომ გადაძოვება არ მოხდეს და გაუდაბნოების საშიშროება არ შეიქმნას. ევროკავშირის ამ პროექტმა გააძლიერა ჩვენი პოზიციები: უნდა იყოს მდგრადი ძოვება, მაგრამ არ უნდა აიკრძალოს.

პირველი პრეცენდენტია ვაშლოვანის დაცული ტერიტორია. შარშან, როდესაც მივიღეთ შეთავაზება, რომელს ავირჩევდით ამ სტატუსის მისანიჭებლად, გადავწყვიტეთ, ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებისთვის განკუთვნილიყო აღნიშნული დიპლომი. ივლისის ბოლოსკენ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრში, დედოფლისწყაროში, გაიმართება დიპლომის გადაცემის ცერემონია. მთელ საქართველოს ვულოცავ ამ დიპლომს, რადგან ეს არის კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი ევროპისკენ,“ — აღნიშნავს დიმიტრი ბერიძე.

ევროკავშირის ექსპერტები დედოფლისწყაროს გასული წლის ოქტომბერში სტუმრობდნენ. მათ ნაკრძალის პოტენციალი ადგილზე შეისწავლეს და შესაბამისი მონაცემები საფრანგეთში ჩაიტანეს.

ილია მარტყოფლიშვილი

„ქართული ოცნება ჯანმრთელი მომავლის" კიდევ ერთი აქცია

შაბათს, 26 სექტემბერს, დედოფლისწყაროს პოლიკნილიკას თბილისის სამედიცინო- საუნივერსიტეტო კლინიკის წამყვანი სპეციალისტები სტუმრობდნენ. პროექტი არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართული ოცნება ჯანმრთელი მომავალის" ეგიდით ხორციელდებოდა, რომელსაც დედოფლისწყაროში მასპინძლობას და მოწვევის ორგანიზებას ყველასთვის კარგად ცნობილი ექიმი-გინეკოლოგი, „წითელი ჯვრის" დედოფლისწყაროს ხელმძღვანელი ნათელა თამაზაშვილი უძღვებოდა. სწორედ მისი ინიციატივით დედოფლისწყაროელი მოსახლეობისთვის ჩამოსული გახლდათ ოცდარვა ექიმი. მათ შორის გახლდნენ: ნევროლოგი, ენდოკრინოლოგი, გასტროენტეროლოგი, ოტო-რინო-ლარინგოლოგი, ლაბორანტები, გინეკოლოგები, კარდიოლოგი,თერაპევტი, ექოსკოპისტი, პედიატრი, ოფთალმოლოგი, ქირურგი, ტრავმატოლოგი, მამოლოგი.

-"ქართული ოცნება ჯანმრთელი მომავალი" უკვე მესამე წელია, ახორციელებს მსგავს აქციას, კერძოდ, საკმაოდ მაღალკვალიფიციური ექიმები ჩამოდიან და უფასოდ, სინჯავენ აქციაზე მოსულ ყველა პაციენტს. ამჯერად მედიცინის 28 მუშაკი გახლდათ ჩვენთან სტუმრად, ჩამოტანილი ჰქონდათ აპარატურა, იღებდნენ ადგილზე კარდიოგრამას, ექოსკოპიას, სინჯავდნენ როგორც ჩიყვს, ასევე მუცლის ღრუს, ექიმ-ლაბორანტები აკეთებდნენ უფასო ანალიზებს და ა.შ. ეს ყველაფერი გათვლილი გახლდათ ჩვენი თანამოქალაქეების კეთილდღეობაზე, ჯანმრთელ და ჯანსაღ მომავალზე. მათ, ვისაც არ შეუძლიათ დედაქალაქში ექიმებამდე ჩასვლა და გასინჯვა, მათაც, ვისაც შესაძლებლობა აქვთ, მაგრამ დრო არ აქვთ, რომ მიიღონ თუნდაც ექიმის კარგი კონსულტაცია, რჩევა, დანიშნულება, კარგი შესაძლებლობა გახლდათ ეს ვიზიტი. მინდა გითხრათ, რომ ექიმების ამ ჯგუფს ძალიან უყვარს კახეთში ჩამოსვლა, ისინი ამ ეგიდით რამდენჯერმე იყვნენ ჩასულები თელავში და ძალიან სწყალობენ დედოფლისწყაროსაც. ამჯერად 612 პაციენტი გაისინჯა და მიეცა კონსულტაცია. მინდა გითხრათ, რომ „ქართული ოცნება ჯანმრთელი მომავლის" და „წითელი ჯვრის" ორგანიზებით 3 წლის მანძილზე 30-ზე მეტი აქცია ჩატარდა ჩვენი რაიონის თუ სოფლების პოლიკლინიკურ დაწესებულებებში, რასაც საკმაოდ დადებითი რეზონანსი აქვს მოსახლეობაში, ხალხი მადლიერია. ამ კოლეგიალობისთვის და დიდსულოვნებისთვის, რა თქმა უნდა, მე, როგორც მათი კოლეგა, დედოფლისწყაროელი მოსახლეობის სახელით, მადლობას ვუხდი თქვენი გაზეთის საშუალებით თითოეულ მათგანს, -აღნიშნა ჩვენთან საუბარში ქალბატონმა ნათელა თამაზაშვილმა.

-უკვე მესამედ ვიღებ ასეთ აქციაში მონაწილეობას და მოხარული ვარ, რომ მეძლევა საშუალება, დედოფლისწყაროელ მოქალაქეებს ექიმის ამპლუაში მოვემსახურო, მით უმეტეს, რომ თავადაც დედოფლისწყაროდან, კერძოდ სოფელ ზემო მაჩხაანიდან გახლავართ. ექიმისთვის, ასეთი ტიპის აქციებში მონაწილეობა, ძალიან დიდი სტიმული და ამავე დროს უდიდესი სიამოვნებაა, ხოლო მოსახლეობისთვის, ვინც ამ სიკეთეს იღებს, ძალიან კარგი საშუალებაა, რომ მოვიდეს ექიმთან და კარგი კონსულტაცია მიიღოს ჩვენგან, - ანდა დაადგინოს დიაგნოზი, აღნიშნა ჩვენთან საუბარში ახალგაზრდა ენდოკრინოლოგმა ესმა ჯამასპიშვილმა.

- გასულ წელსაც გახლდით დედოფლისწყაროში და საკმაოდ დიდი რაოდენობის პაციენტი მოვიდა. ჩვენ ასე ვუდგებით ამ ყველაფერს, თუკი პაციენტი ვერ ჩამოდის თბილისში, მედიკოსები მოვდივართ თქვენთან. აქ ჩვენ გვხვდებიან ძალიან კარგი მასპინძლები ქალბატონი ნათელა თამაზაშვილის, ხათუნა აგლაძის სახით და გვინდა, მადლობა ვუთხრათ მათ, რომ ჩვენი მოწვევის ორგანიზებას აკეთებენ. ხალხს უჭირს, მიაკითხოს ექიმს, თანხაც რომ ჰქონდეს, სანამ ექიმთან მოახერხებს წასვლას, მანამდე ეს თანხა ეხარჯება და ამქვეყნად არსებობისთვის მთავარი რამ, ჯანმრთელობა ყურადღების მიღმა რჩება. ქართველებში ხომ ასეა, სანამ ტკივილებამდე და ოპერაციამდე არ მივა ადამიანი, ექიმს არ მიაკითხავს. ასე რომ არ მოხდეს და კონსულტაციაზე ხელი მიუწვდეს პაციენტს, ჩვენ ვიზრუნეთ თქვენს ჯანმრთელობაზე,- აღნიშნა ჩვენთან საუბარში ოტო-რინო-ლარინგოლოგმა ნინო დათუნაშვილმა.

-სულ რაღაც ორი საათია, რაც პაციენტების მიღება დავიწყეთ და უკვე 12 ადამიანი მივიღეთ, საკმაოდ მძიმე ფონია, უმეტესობა ნევროზის მძიმე ფორმებს აღწერს და, აქედან გამომდინარე, ჩვენი დანიშნულებებიც დახუნძლულია მედიკამენტებით. ყველაზე მეტი მომართვიანობა თავის ტკივილებით და უძილობით არის გამოწვეული, რასაც სხვა უამრავი ფაქტორიც ახლავს. თავდაპირველად პაციენტს ყელ-ყურ-ცხვირის ექიმთან ვაგზავნით, რადგან უნდა შემოწმდეს და გამოირიცხოს ჰაიმორიტის შემთხვევა. ცუდია, რომ თავზე გადასაღები აპარატურა არ გვაქვს, თუმცა პაციენტის მონაყოლი და ხელით გასინჯვა იძლევა საშუალებას, პირველადი მედიკამენტური დახმარება აღმოვუჩინოთ მათ,- აღნიშნა ჩვენთან საუბარში ნევროლოგმა ნანა სალარიძემ.

-გულწრფელად უნდა გადმოგცეთ, ასეთი სახის აქციაში, როგორც ჟურნალისტი, არაერთხელ ჩავრთულვარ, მაგრამ, როგორც პაციენტი მხოლოდ ამჯერად ჩავერთე და ამ აქციის სიკეთე და სარგებელი აქამდე არ გამეთავისებინა. მე პირადად და მთლიანად ოჯახს, მეუღლის სამსახურის წყალობით, გვაქვს საკმაოდ მაღალი დონის (ალდაგი ბისიაის) სადაზღვევო პოლისი, რომელსაც ხშირად ვიყენებთ როგორც დედოფლისწყაროს, ასევე თბილისის კლინიკებში, სადაც ძალიან მცირე თანხის გადახდა, მხოლოდ 20%-ისა გვიწევს ექიმთან ვიზიტისას, დანარჩენ 80 %-ს ფარავს ჩვენი სადაზღვევო კომპანია. ასე რომ, თბილისში ექიმებთან შვილების ანდა ჩემი ვიზიტი, ჩვენთვის არაა მაინცდამაინც რთული, თუმცა, მინდა ვთქვა, რომ თბილისში გამგზავრება, ტრანსპორტირება, სპეციალურად ერთი დღის გამოყოფა, სამსახურებიდან გამოთავისუფლება, ეს ყველაფერი იმდენ ორგანიზებასთან და ძალისხმევასთან არის დაკავშირებული, რომ ხშირად ვერ ვახერხებთ. აღნიშნული შეთავაზება ჩემთვის ძალიან კარგი ვარიანტი აღმოჩნდა. მე მივიღე ენდოკრინოლოგის, ნევროპათოლოგის, თვალის ექიმის, ოტოლარინგოლოგის კონსულტაცია, გავიკეთე მუცლის ღრუს და ჩიყვის ექოსკოპია და მამოლოგის კონსულტაცია. ასევე ჩემი შვილები გავასინჯე და მიიღეს დანიშნულება სხვადასხვა ექიმებისგან, ყელ-ყურ-ცხვირის, პედიატრისგან და ეს ყველაფერი, ერთ დღეში მოექცა. აქედან გამომდინარე, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს იყო ძალიან დიდი სიკეთე. რაზეც მე პირადად ძალიან დიდ მადლიერებას და კმაყოფილებას გამოვხატავ.

ლალი მეხრიშვილი

ხანდაზმულთა მდგომარეობა საქართველოში

1 ოქტომბერი გაეროს მიერ ხანდაზმულთა საერთაშორისო დღედ არის აღიარებული. ამ დღესთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველმა პანსიონატებში ხანდაზმულთა უფლებრივი მდგომარეობის თაობაზე მომზადებული სპეციალური ანგარიშის პრეზენტაცია გამართა. უჩა ნანუაშვილის თქმით, ქვეყნის მასშტაბით 5 დაწესებულების მონიტორინგის შედეგების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ დაბალია ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ხარისხი და პანსიონატებში არასათანადო მოპყრობის ფაქტებიც

გვხვდება.

83 წლის ალბერტ მანუკიანი 3 წელია თბილისში, თემქაზე მდებარე ხანდაზმულთა პანსიონატში, ცხოვრობს. მთელი ცხოვრება მძღოლად მუშაობდა, სიბერის გატარება კი პანსიონატში უწევს. მოპყრობით უკმაყოფილო არ არის, თუმცა მაინც წუხს, რომ სიცოცხლის ბოლო წლების გატარება ოჯახისგან მოშორებით უხდება:

„ეეჰ, რა ცხოვრებაა! ეს ცხოვრებაა? არა, ყველაფრით კმაყოფილები ვართ, მაგრამ სად რომ სახლში იქნები, შვილებთან, მაგრამ სადაა!"

ხანდაზმულთა პანსიონატში მოხვედრამდე 78 წლის ქსენია ავსაჯანიშვილს თავისი სახლიც ჰქონდა და საქმეც, მაგრამ სიბერეში მარტო დარჩა:

„ვცხოვრობთ, რა... ბინა მქონდა, მოსაკლავად შემომივარდნენ. გამოვიპარე და, ბოლოს, აქ მოვხვდი".

ხანდაზმულთა პანსიონატამდე მიმავალი გზა ყველა მოხუცისთვის განსხვავებულია, იქ ყოფა კი - ყველასთვის საერთო. ამ საერთო ყოფაში ბევრი პრობლემაა, ამბობს სახალხო დამცველი. პანსიონატებში ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის თაობაზე მომზადებულ სპეციალურ ანგარიშში ვკითხულობთ, რომ თბილისსა და ქუთაისში არსებულ 5 დაწესებულებაში გამოვლინდა ბენეფიციართა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტები, დოკუმენტაციის წარმოების ხარვეზები, პერსონალის ნაკლებობა, გაუმართავი ინფრასტრუქტურა და სხვა.

„ზოგადად, ხანდაზმულთა მიმართ ეფექტური პოლიტიკის არარსებობა, სიღარიბე, უსახლკარობა, ძალადობის შემთხვევები, საზოგადოებისგან იზოლაციის საფრთხე - ეს არის მცირე ჩამონათვალი იმ პრობლემებისა, რაც ამ სფეროში არსებობს. ამ დაწესებულებებში პერსონალის ნაკლებობა - ისევე როგორც, რიგ შემთხვევებში, დაბალი კვალიფიკაცია წამოადგენს პრობლემას. მედიკამენტების ნაკლებობა, ამ დაწესებულებების ინფრასტრუქტურული გაუმართაობა, არაადაპტირებული ფიზიკური გარემო, ამასთან, ამ დაწესებულებების არასათანადო ინსპექტირება და მონიტორინგი სახელმწიფოს მხრიდან - ესეც არის გამოწვევა", - ამბობს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი.

როგორც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური პროგრამების სამმართველოს უფროსი ამირან დათეშიძე ეუბნება რადიო თავისუფლებას, პრობლემები უფრო მეტად ძველი ტიპის დიდი ზომის პანსიონატებშია, ასეთი კი ორია. გაცილებით უკეთესი მადგომარეობაა სათემო პანსიონატებში, რომელიც ქვეყანაში სულ 7-ია. სულ, პანსიონატებში 250 ხანდაზმულია აღრიცხული. პანსიონატს სახელმწიფო თითო ბენეფიციარზე ყოველდღიურად 16 ლარს ურიცხავს. ეს თანხა პანსიონატის საჭიროებებზე, მათ შორის, თანამშრომელთა ანაზღაურებასა და ბენეფიციარებზე ნაწილდება. ამირან დათეშიძის თქმით, სახელმწიფომ შარშან მიიღო მომსახურების ერთიანი სტანდარტი და, ზოგადად, სახელმწიფოს მიდგომაა დიდი ზომის დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზაცია:

„შარშან ასეთი ტიპის დაწესებულებებისთვის ერთიანი სტანდარტი მივიღეთ და სისტემატურად ხორციელდება მონიტორინგი. სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციას სხვადასხვა მდგომარეობა აქვს და არის ორგანიზაციები, სადაც, პირდაპირ შემიძლია გითხრათ, ძალიან კარგი პირობებია, თუმცა არის ორგანიზაციები, სადაც არის ხარვეზები და რეკომენდაციებს ვაძლევთ, რომ მომსახურების ხარისხი გააუმჯობესონ".

ომბუდსმენის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დეპარტამენტის ხელმძღვანელი ირინე ობოლაძე ამბობს, რომ მიუხედავად არადამაკმაყოფილებელი პირობებისა, ბენეფიციართა უმატესობა პანსიონატით მაინც კმაყოფილია:

„ეს ადამიანები იმდენად არიან საზოგადოებისგან გარიყულები, რომ ისინი იმითაც „კმაყოფილი" არიან, რომ არ აწვიმთ, აქვთ ჭერი და აქვთ ელემენტარული კვებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალება, ანუ, სამწუხაროდ, ეს ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა იყო".

საქართველოში სულ 60 წელს გადაცილებული 717 900 პირია. ასაკით პენსიონერები 160 ლარიან პენსიას იღებენ და ჯანდაცვის საყოველთაო პროგრამით სარგებლობენ. HelpAge international-ის მიერ 2014 წელს 96 ქვეყანას შორის გამოანგარიშებული ინდექსის თანახმად, საქართველო 28-ე ადგილს იკავებდა რეიტინგში. რეიტინგების მიხედვით ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, თავისთავად, არ არის ხანდაზმული ადამიანების კეთილდღეობის საფუძველი. ამიტომ აუცილებელია, დაბერების პროცესის შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება.

ექიმსაც სჭირდება უფლის შეწევნა და თანადგომა

თითქმის ორმოცი წელია, დედოფლისწყაროს მოსახლეობის ჯანმრთელობის საქმეს ერთგულად, მონდომებით და პროფესიულად ემსახურება ექიმი-თერაპევტი ლილი ბეგაშვილი. მას დღეს ოჯახის ექიმის სტატუსი აქვს.

- ქალბატონო ლილი, რას ნიშნავს ოჯახის ექიმი, რა შედის მის მოვალეობაში?

- ოჯახის ექიმის სტატუსი სამედიცინო რეფორმის შედეგად შეიქმნა. ამისათვის 2007 წლიდან დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები, რომელიც რამდენიმე ეტაპად ჩატარდა. გვიარეთ საკვალიფიკაციო-გადასამზადებელი ტრეინინგები, მივიღეთ შესაბამისი სერთიფიკატები, მე, მაგალითად, დღეისათვის სამ სერთიფიკატს ვფლობ - „ოჯახის ექიმის“, „ექიმი-ექსპერტის“ და „შინაგანი მედიცინის — თერაპევტის“. უბნის ექიმისაგან განსხვავებით ოჯახის ექიმის უფლებამოვალეობები უფრო ფართოა. მას, სათანადო აღჭურვილობის შემთხვევაში, ევალება პაციენტს, მისი ჩივილებიდან გამომდინარე, ჩაუტაროს გამოკვლევები და დაუსვას დიგნოზი ოტო-ლარინგოლოგიის, ოფთალმოლოგიის; კარდეოლოგიის, ენდოკრინოლოგიის და სხვა ვიწრო სპეციალობების მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში კი პაციენტი მიავლინოს სპეციალისტთან. ასეთი პრაქტიკა სოფლის ამბულატორიის ექიმებს აქვთ, რადგან მათი კაბინეტები უფრო მეტადაა აღჭურვილი სათანადო ტექნიკით. ჩვენ კი, ქალაქის ოჯახის ექიმები, ჯერჯერობით, ამ „ფუფუნებას“ მოკლებულნი ვართ. ამიტომ ვსვამთ სავარაუდო, წინასწარ დიაგნოზს და საჭიროებისას, მიმართვას ვაძლევთ შესაბამის სპეციალისტებთან. დიდ იმედებს ვამყარებთ ახალი საავადმყოფო-პოლიკლინიკის გახსნაზე, რომლის მშენებლობაც ინტენსიურად მიმდინარეობს და, სავარაუდოდ, წლის ბოლოს მის ამოქმედებას ველოდებით. ალბათ, იქ სათანადო აღჭურვილობა გვექნება და ჩვენი მუშაობაც უფრო ეფექტური იქნება.

- ოჯახის ექიმის მომსახურება მხოლოდ ამბოლატორიულია თუ ბინაზე მომსახურებაც გევალებათ და, აქვე მომსახურება ფასიანია თუ უფასო?

- ოჯახის ექიმი უბნის პაციენტს ემსახურება როგორც პოლიკლინიკაში. ასევე ბინაზეც. რაც შეეხება ფასს, ოჯახის ექიმის მომსახურება უფასოა. ჩვენ ჩვენს პაციენტებთან მჭიდრო კავშირში ვართ არა მხოლოდ სამედიცინო თვალსაზრისით, არამედ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის კუთხითაც და ამით უფრო თბილი და უშაულო ურთიერთობები ყალიბდება. აქედან გამომდინარე, მკურნალობისას ვითვალისწინებთ მათ შესაძლებლობებს და მდგომარეობას.

- დღეს ერთ-ერთ წარმატებულ სფეროდ ჯანდაცვის სამინისტროს მუშაობა და იქ განვითარებული რეფორმები ითვლება. პრაქტიკულად საყოველთაო დაზღვევამ მოიტანა თუ არა დადებითი შედგები. კონკრეტულად, მოიმატა თუ არა პაციენტთა რაოდენობამ და კმაყოფილია თუ არა მოსახლეობა?

- უდავოდ, პაციენტთა რაოდენობამაც მოიმატა და მოსახლეობაც კმაყოფილია, რადგან მანამდე ექიმთან ვიზიტი და გამოკვლევები ფასიანი იყო. ახლა ოჯახის ექიმის და სპეციალისტის მომსახურებაც უფასოა, ამას ემატება ანალიზების, კვლევების, ოპერაციების კატეგორია, რომელიც 100%-ით ფინანსდება, ზოგიც თანადაფინანსებით 70-30 პროცენტით, უმწეობისა და პენსიონერებისათვის დიდი შეღავათებია, 5-დან 60-65 წლამდე ასაკშიც ბევრი სასიკეთო ცვლილებაა. ასე რომ, თუ ადამიანი თავად ყურადღებას აქცევს საკუთარ ჯანმრთელობას, მისთვის გზა ხსნილია. უმადური უნდა იყო, რომ ეს სიკეთე, რომელიც ახალმა ხელისუფლებამ მოიტანა, არ დაინახო.

დღემდე გავლილი თქვენი პროფესიული საქმიანობის შესახებ რას გვეტყვით?

-1975 წელს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, განაწილებით ჩამოვედი დედოფლისწყაროში, მაშინდელ წითელწყაროში. ორდინატურის ერთი წელი აქ გავიარე და 1976 წელს სასწრაფო დახმარების ექიმად დავიწყე მუშაობა. მინდა გითხრათ, რომ სასრაფო დახმარების ექიმად მუშაობა ეს ის ეტაპია მედიცინის მუშაკისათვის, როცა თეორიულ ცოდნას პრაქტიკაში იყენებ და ეჩვევი ექსტრემალურ სიტაუციაში გამონახო ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი. ეს ექიმისთვის არის ძალიან დიდი გამოცდილების შეძენის შანსი. მე მადლობელი ვარ იმ წლებისთვის, რომელმაც თავდაჯერებულობა შემმატა, გამოცდილება დამიგროვა. შემდეგ ერთი წელი ფტიზიატრად ვიმუშავე. მაშინდელმა მთავარმა ექიმმა რაულ ერაძემ და პოლიკლინიკის მთავარმა ექიმმა ლევან ბოსტოღანაშვილმა (ღმერთმა მისი სული გაანათლოს) გაითვალისწინეს, რომ ფეხმძიმედ ვიყავი და უფრო მშვიდ სამუშაოზე გადამიყვანეს. ასე ჩაიარა ჩემი ფტიზიატორობის ერთმა წელმა და დეკრეტიდან დაბრუნებული უკვე უბნის ექიმად დავინიშნე. მას მერე უბანზე ვმუშაობ, ჩემს კონტიგენტს, და არა მხოლოდ მათ, ვემსახურები რაც შემიძლია ერთგულად და პროფესიონალურ დონეზე. უბნის ექიმის პარალელურად, თითქმის ორი ათეული წელი, ვმუშაობდი სოცუზრუნველყოფის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ საექიმო სოციალურ-საექსპერტო კომისიაში ექსპერტ- თერაპევტად, ასევე წლების განმავლობაში ვთავმჯდომარეობდი მძღოლებისა და მოსამსახურეების სამედიცინო შემოწმების („ფსიხო“) კომისიას. სამი წლის განმავლოობაში სადაზღვევო კომპანია „ჯი-პი-აი“ ჰოლდინგის კოორდინატორი ვიყავ, ხოლო მისი დახურვის შემდეგ „არქიმედეს-გლობალ-ჯორჯიას“ ოჯახის ექიმი გახლდით. ისე რომ, სულ მუდამ დატვირთული გრაფიკით მიწევდა მუშაობა და, მედიცინასთან ერთად, ვცდილობდი, სხვა საკთხებშიც კომპეტეტური ვყოფილიყავი, რომ სათანადო დონეზე შემესრულებინა ჩემი მოვალეობები.

- თქვენს დროს სამედიცინოზე მოწყობა არცთი ისე იოლი იყო, მაგრამ პერსპექტიული და მოდური. რატომ აირჩიეთ ეს დარგი, რამ განაპირობა თქვენი გადაწყვეტილება?

- წნორის №1 საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე. სწავლა არასდროს მიჭირდა. დედაც, რომელიც პროფესიით ეკონომისტი იყო, არ მუშაობდა, მთელ ძალისხმევას და თავის ცოდნას შვილების აღზრდა-განათლებას ახმარდა. ბუნებითაც მკაცრი იყო.. ალბათ, მთელი თერთმეტი წლის განმავლობაში, სკოლა სულ რაღაც ორჯერ გავაცდინე. არ გვპატიობდა უპასუხისმგებლობას და სიზარმაცეს. აქედან გამომდინარე, ჩემი ცოდნის იმედი მქონდა. ამასთან, მყავდა ბავშვობის მეგობარი, როემლიც ჩემს მეზობლ;ად ცხოვრობდა. დედამისი ექიმი გახლდათ. ჩვენ სულ ერთად ვიყავით. ამ ქალბატონს უნდა ვუმადლოდე, რომ დღეს ექიმი ვარ. ის ისეთი თბილი, ალერსიანი, გაგებული და განათლებული ადამიანი იყო, რომ ბავშვობიდანვე მოხიბლული ვიყავი მისით. მეგონა, თუ ექიმი ვიქნებოდი, მასავით კარგი პიროვნება გამოვიდოდი. ასე რომ, ეს ჩემი ბავშვობის გადაწყვეტილება იყო.

- ხომ არ ნანობთ, ექიმობა რთული, შრომატევადი და ემოციური საქმეა?

- არა, რა თქმა უნდა, პირიქით მეამაყება და მსიამოვნებს, როცა პაციენტს კმაყოფილს და გამოჯანმრთელებულს ვხედავ.

- თქვენ სამი შვილის დედა ხართ, როგორ ათავსებდით ერთმანეთს სამსახურს და შვილების გაზრდას? და საერთოდ, მოგვიყევით თქვენი ოჯახის შესახებ.

- დაბა წნორში დავიბადე 1951 წელის 7 თებერვალს. დედა – თინათინ ნატროშვილი, წარმოშობით ზემო მაჩხაანიდან იყო. როგორც ზემოთაც ვთქვი, ის უმაღლესი განათლებით გახლდათ, მაგრამ არ მუშაობდა და ოჯახს უძღვებოდა. მამა — გიორგი ბეგაშვილი ხისა და მერქნის გადამუშავების ტქნოლოგი იყო. მან ბევრ თანამდებობაზე იმუშავა და დიდი ავტორიტეტიც მოიპოვა. გულწრფელად ვთქვა, ეკონომიურად არასოდეს გვიჭირდა, დრო იყო სხვანაირი. ამიტომ, ლაღი და ბედნიერი ბავშვობა მქონდა. ჩემზე 7 წლით უმცროსი ძმა მყავს — გელა ბეგაშვილი. ისიც საუკეთესო მოსწავლე იყო. თბილისის სახელმწიფო უნივერსტიტეტი დაამთავრა. სხვათა შორის, დედოფლისწყაროელების სიძეა. ჩემი რძალი მაია ხუმარაშვილია. მათ ორი ვაჟი ჰყავთ და უკვე მამათილ-დედამთილიც არიან. რაც შეეხება პირადად ჩემს ოჯახს, გამიმართლა. ძალიან განათლებულ და პატიოსან ოჯახში შევედი. ჩემმა დედამთილმა-ნათელა სეფიაშვილმა და მამამთილმა ავთანდილ დათუკიშვილმა შვილივით მიმიღეს და ასეც მივლიდნენ. რომ არა ჩემი დედამთილი, სამი შვილის გაზრდა, ნამდვილად, გამიჭირდებოდა. დაუშრეტელი ენერგიის ქალბატონი იყო, მუხლჩაუხრელად ემსახურებოდა ოჯახს, თან ისიც მუშაობდა, საბავშვო ბაღის ექთანი იყო და შვილიშვილები სულ თავისთან დაზარდა. ჩემი მეუღლე, რომელსაც ყველა გია დათუკიშვილად იცნობს, სინამდვილეში კი დავითია, (ასე უწერია დაბადების მოწმობაში), პოლიციის თანამშრომელი იყო და ჩემს დასახმარებლად არასოდროს ეცალა, მაგრამ სამი კარგი მოქალაქე გაიზარდა ჩვენს ოჯახში. უფროსი ქალიშვილი, ბებიის მოსახელე ნათია, ინგლისურის სპეციალისტია, სოფელ არბოშიკში ცხოვრობს და ორი ვაჟის დედაა. თეა ეკონომისტია, თბილისში ცხოვრობს და ერთი გოგონა ჰყავს. ოჯახის ფუძისშვილი- ლევანი, საბანკო-საფინანსო დარგის ეკონომისტია, თბილისში ერთ-ერთ ბანკში მუშაობს და დასაოჯახებელია. ასე რომ, დედამთილობისთვის ვემზადები, მაგრამ ცოტა მეშინია, მინდა კარგი დედამთილი ვიყო, თუმცა ეს ცალმხრივად ცოტა ძნელია. ამიტომ ვინატრებდი, ისეთი გაგებული, თანამგრძნობი და პასუხისმგებლიანი ურთიერთობა მქონდეს, როგორიც ჩემს დედამთილთან.

- ღმერთმა გისმინოთ. თქვენი ბიოგრაფიიდან გამომდინარე, ბედნიერი ადამიანი ბრძანდებით.

- გეთანხმდებით, მაგრამ ცხოვრება მრავალწახნაგოვანია თავისი პატარ-პატარა ტკივილებით და სიხარულებით, ურომლისოდაც სიცოცხლე უინტერესო და ერთფეროვანი იქნებოდა. სწორედ მაშინ ხდება ბედნიერება სრულფასოვანი, როცა რაიმე წინააღმდეგობას დაძლევ და საწადელს მიაღწევ. მთავარია, გიყვარდეს სიცოცხლე და იმედი არასდროს დაკარგო, სასოწარკვეთილებას არ მიეცე.

- გწამთ თუ არა, რომ წარმატებულ ცხოვრებასა და ბედნიერებაში უფლის ნებაც უნდა გეხმარებოდეს?

- მე ღვთისმოშიში ადამიანი ვარ. ვცდილობ, შეძლებისდაგვარად, ეკლესიურად ვიცხოვრო და უფლისაგან მივიღო ის, რის ღირსადაც ჩამთვლის. ექიმსაც სჭირდება უფლის შეწევნა და თანადგომა, რომ ხელი მოემართოს საქმიანობაში, მისცეს უნარი, იბრძოლოს მის მიერ მინიჭებული სიცოცხლის გადასარჩენად.

- გწყალობდეთ უფალი.

- გმადლობთ.

ნაირა გორაშვილი.

„მათ რომ სცოდნოდათ, ამაზე ხმამაღლა ვილაპარაკებდი, ახლა მკვდარი ვიქნებოდი“ – რას ჰყვება „ისლამისტებს“ გამოქცეული ახალგაზრდა?!

“აკრძალული გვაქვს მოწევა - ორჯერ ვიყავი დაპატიმრებული სიგარეტის გამო, ერთ დღიანი პატიმრობა და 20 მათრახი მომისაჯეს. კაცებს არ აქვთ უფლება სუფთად იყვნენ გაპარსულები. ყველა, ვინც გაპარსულია, საპატიმროში ხვდება”.

BBC - ის ჟურნალისტმა, მარკ ლოვენმა გამოაქვეყნა ინტერვიუ ერთ-ერთ ლტოლვილთან, რომელიც “ისლამური სახელმწიფოს” სისასტიკეს თურქეთში გამოექცა:

“მათ რომ სცოდნოდათ, ამაზე ხმამაღლა ვილაპარაკებდი, ახლა მკვდარი ვიქნებოდი” - ამბობს მუჰამედი. ახალგაზრდა და ინგლისურად თავისუფლად მოლაპარაკე მუჰამედი სირიის ქალაქ რაყადან მოდის, ისლამური სახელმწიფოს დე-ფაქტო დედაქალაქიდან.

“თავდაპირველად, როდესაც ისინი მოვიდნენ თითქოს ყველაფერი კარგად იყო, რადგან ასადის ძალები გააძევეს. მაგრამ შემდეგ მათ გააძლიერეს კონტროლი. მათ შემოიღეს თავისი წესები: ნებისმიერი ვინც მათ არ დაემორჩილა, ნებისმიერი ვინც ეჭვმიტანილი იყო ტელეარხების ჟურნალისტებთან ურთიერთობაში, დაუყოვნებლივ წაყვანეს და სიკვდილით დასაჯეს. მათ აქვთ დიდი საინფორმაციო ქსელები - მათთან უცხოელები მუშაობენ, რომლებიც ყველაფრის შესახებ ატყობინებენ. მე ნანახი მყავს გერმანელები, ჩეჩნები, თურქები, საუდის არაბეთის და ტუნისის მოქალაქეები. მათ ასევე შეუძლიათ ნებისმიერ დროს შენი შეპყრობა და დასჯა”. - ამბობს მუჰამედი.

ინტერვიუში მუჰამედი საუბრობს ასევე იმ ცვლილებებზე, რაც მის ქალაქში “ისლამური სახელმწიფოს” მოსვლის შემდეგ მოხდა.

“სულ რამდენიმე თვის წინ ჩვენ ინტერნეტი სახლებში გვქონდა. ახლა ჩვენ უნდა წავიდეთ ინტერნეტკაფეებში - ისინი მოდიან და ამოწმებენ რა გვერდებზე შევედით. ელექტროენერგია დღეში მხოლოდ რამდენიმე საათი გვაქვს. ახლა საუბარია იმაზე, რომ ისინი სახლებიდან სატელიტურ თეფშებს წაიღებენ და მხოლოდ იმ ტელევიზიების ყურება შეგვეძლება, რომლებსაც ისინი აკონტროლებენ. ასევე გაიზარდა საკვების ფასები. აკრძალული გვაქვს მოწევა - ორჯერ ვიყავი დაპატიმრებული სიგარეტის გამო, ერთ დღიანი პატიმრობა და 20 მათრახი მომისაჯეს. კაცებს არ აქვთ უფლება სუფთად იყვნენ გაპარსულები. ყველა, ვინც გაპარსულია, საპატიმროში ხვდება. ისლამური სახელმწიფოს შავი დროშები ფრიალებს რაყაში და ყოველ ოფიციალურ შენობას მიწერილი აქვს “ისლამური სახელმწიფო” კედლებზე.”

ჟურნალისტის კითხვაზე, თუ როგორ ამოიცნობენ მოქალაქეები “ისლამური სახელმწიფოს” მებრძოლებს, პასუხობს: “ისინი ატარებენ იარაღს ნებისმიერ დროს. როცა უყურებ ჩვეულებრივ მოქალაქეებს, მათ თვალებში შიშს ხედავ. ყველას ეშინია, რომ ერთი არასწორად ნათქვამი სიტყვა მათ პატიმრობას ან უარესს სასჯელს მოუტანს. ჩვენ ყველას გვიყვარს ისლამი, მაგრამ ეს არ არის ისლამი.”

ჟურნალისტი წერს, რომ მუჰამედმა იმედი დაკარგა, რომ ევროპამდე უსაფრთხოდ მიაღწევს, მას არ შეუძლია გადაიხადოს 2000 დოლარი, რომელსაც კონტრაბანდისტები ნავებით საბერძნეთის კუნძულებამდე გადასაყვანად ითხოვენ და არ სურს სიცოცხლის გარისკვა. რადგან, ევროკავშირის გეგმებში 120 000 თავშესაფრის მაძიებლის გადანაწილების თაობაზე მუჰამედი არ შედის. ეს რიცხვი მოიცავს მხოლოდ იმ ლტოლვილებს, რომლებიც უკვე იტალიასა და გერმანიაში არიან და არა მათ, ვინც თურქეთშია და ევროპის კარზე აკაკუნებს. მუჰამედს და მისნაირებს სთავაზობენ თურქეთში დარჩენას, მაგრამ ისინი უარს ამბობენ ამაზე.

“აქ არ შემიძლია ნორმალურად მოვიწყო ცხოვრება. ძალიან ცოტა ფულს გამოვიმუშავებ. მათ არ უნდათ ჩემი აქ დარჩენა. თუ ევროპაში ვერ წავედი, უკან, რაყაში დავბრუნდები. იქ ვიცხოვრებ ისე, თითქოს ყელზე რაღაც მაქვს მობჯენილი, მაგრამ სულ ცოტა ჩემს ოჯახთან მაინც ვიქნები.

ქართველი მორაგბეები მესამე ტურში მსოფლიოს ჩემპიონებს ხვდებიან



„ბორჯღალოსნები“ ისტორიული მატჩისთვის ემზადებიან. დღეს რაგბის მსოფლიო თასის მესამე ტურის მატჩში ქართველი მორაგბეები უძლიერეს მეტოქეს, მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ ახალი ზელანდიის ნაკრებს დაუპირისპირდებიან.

საქართველოს ნაკრები ახალ ზელანდიელი მწვრთნელი, მილტონ ჰეიგი თავის სამშობლოს წინააღმდეგ გამოცხადებულ ქართველთა შემადგენლობაზე კომენტარს აკეთებს:

„არ ვიტყოდი, რომ ახალ ზელანდიასთან სათამაშოდ მეორე შემადგენლობით გავდივართ. ჩვენ ძალიან ბევრი ვიმუშავეთ საიმისოდ რომ ნაკრებში კონკურენცია გაგვეზარდა და ვფიქრობ, ჩვენს გუნდში პირველი და მეორე შემადგენლობა არ არსებობს. უბრალოდ, პირველ ორ მატჩში სხვა მორაგბეებს დავეყრდენით“. - განაცხადა ჰეიგმა.

გუშინ შემადგენლობა დაასახელა ახალი ზელანდიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სტივ ჰანსენმაც. აღსანიშნავია, რომ „ოლ ბლექსი“ ჩვენს გუნდს უძლიერესი შემადგენლობით დაუპირისპირდება. ძირითად შემადგენლობაში არიან ახალზელანდიელთა ლიდერები: დენ კარტერი, რიჩი მაკკოუ, კირან რიდი, კონრად სმითი და სანი ბილ უილიამსი.

სტივ ჰანსენი: „ეს თამაში საშუალებას გვაძლევს, გამოვცადოთ ჩვენი ძალები იმ მეტოქის წინააღმდეგ, რომელმაც განვლილ ორ მატჩში შესანიშნავი ფიზიკური კონდიციები გამოავლინა. ჩვენ საქართველოს ნაკრებზე ბევრი არაფერი ვიცით, თუმცა დარწმუნებულნი ვართ, რომ ისინი დიდი მორაგბეები და კარგი სპორტსმენები არიან, რომლებმაც თამაში კარდიფის „მილენიუმზე“ ზეიმად შეიძლება გადააქციონ. ვიცი, რომ ჩვენს გუნდში ამ ყოველივეს მოუთმენლად ელიან.“

„ლეგიონელების“ წარმატებული ასპარეზობა და პერსპექტივები

დედოფლისწყაროში მოქმედი საქართველოს საბრძოლო ხელოვნების კლუბი „ლეგიონი” ბოლო პერიოდში რამდენიმე წარმატებით დაბრუნდა ასპარეზობებიდან. სულ ცოტა ხნის წინ „ლეგიონის” სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს თბილისში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე კიკბოქსინგში, სადაც 5 „ლეგიონელი” სპორტსმენიც გახლდათ წარდგენილი, შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ ქართველი, აზარბაიჯანელი, ირანელი და თურქი სპორტსმენები. ჩვენგან წარდგენილი 5 სპორტსმენიდან სამმა მათგანმა წარმატება მოიპოვა და პირველი, მეორე ადგილები დაიკავეს. 30 კილოგრამ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი მოიპოვა 10 წლის ვოვა ბონდარენკომ, 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი აიღო 15 წლის ლევან ღაშნიაშვილმა, ხოლო 50 კილოგრამ წონით კატეგორიაში ასევე მეორე ადგილი მიიღო 15 წლის ეშკინ მუსტაფაევმა. სამწუხაროდ ბრძოლას მიყენებული ტრავმის გამო გაეთიშა ნუკრი ქოზაშვილი, ხოლო მიშიკო აკიმენკომ თითქმის გამარჯვებულ ასპარეზობაზე ბოლო წუთებში უარი განაცხადა თამაშის გაგრძელებაზე. გუნდ „ლეგიონს“ ხელმძღვანელობდა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, შეფ-ინსტრუქტორი მიხეილ სეხნიაშვილი.

ამავე კლუბის წარმომადგენელმა 20 წლის გიორგი ქართველიშვილმა ქალაქ თბილისში გამართულ პროფესიონალ შეჯიბრზე MMA რვაკუთხედში(ბრძოლა წესების გარეშე) 75 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბრწყინვალედ იასპარეზა და გამარჯვება ნოკაუტით პირველივე რაუნდში მოიპოვა, რითაც ასახელა კლუბი „ლეგიონი” და დედოფლისწყარო. გიორგი ქართველიშვილის ბრძოლას ესწრებოდა მაგომედ მაგომედოვი,ეროვნებით ჩეჩენი, მაღალი დონის პროფესიონალი სპორტსმენი, რომელსაც ძალიან მოეწონა ქართველიშვილის ასპარეზობა. ამ შეხვედრაში მონაწილეობის და გამარჯვების შედეგად, გიორგი ქართველიშვილს აქვს ძალიან დიდი პერსპექტივა კლუბ „ალიანსში” მიიღონ, რაც მის სპორტულ კარიერას ძალიან დიდ მწვანე შუქს აუნთებს.

„ლეგიონის” ირგვლივ სიახლეები ამით არ ამოიწურება, მას მომდევნო დღეებში უწევს ქალაქ წნორში საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მიღება, სადაც ჩვენი ბიჭები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რომ გამარჯვება მათკენ დარჩეს.

მწვრთნელი მიხეილ სეხნიაშვილი მოუწოდებს მშობლებს, ახალგაზრდებს ჩართონ თავისი შვილები სპორტულ ცხოვრებაში, მიიყვანონ ისინი რომელიმე მიმდინარეობაზე, რათა მომავალში მივიღოთ არა მწეველი და ცივი იარაღის მატარებელი ახალგაზრდობა, არამედ ჯანსაღი, ძლიერი და სწორად აღზრდილი, სრულფასოვანი თაობა. მით უმეტეს, სეხნიაშვილი აანონსებს, რომ მის სპორტულ დარბაზში გაიხსნა სპორტსკოლის დამატებითი წრე, სადაც ასწავლიან „ხრიდოლს“(ბრძოლა წესების გარეშე) და კუნგფუ-სანდას. აღნიშნული წრეების სწავლება „ლეგიონის” სპორტულ დარბაზში უფასოა და მსურველებს შეუძლიათ მიბრძანდნენ.

ლალი მეხრიშვილი

ამბები გოდერძი ჩოხელის ცხოვრებიდან...



სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატულ თეატრში 2 ოქტომბერს, 20 საათზე,35 - სეზონი პრემიერით გაიხსნა, სპექტაკლი გოდერძი ჩოხელის მოთხრობების მიხედვით პირველად დაიდგა ქართულ თეატრში. „ბედისწერის თეატრი“ ირაკლი გოგიამ და ლაშა გოგნიაშვილმა განახორციელეს. (ინსცენირება საბა მეტრეველისა)

ადამიანთა დარდისა და სევდის შემგროვებელი, ამ ქვეყნად მოსვლის მიზანზე ჩაფიქრებული გოდერძიჩოხელიგუდამაყრიდან, ამ მიკროსივრციდან, ხედავს მთელ სამყაროს და გვესაუბრება იმ მთავარ ფასეულობებსა და ღირებულებებზე, რომელთა გარეშეც ადამიანს გაუძნელდება არსებობა. სიკეთე, რწმენა, ღირსება, სიყვარული, ერთგულება და ბავშვური გულუბრყვილობა-ალალმართლობა თან სდევს ბედისწერის ამ თეატრში მოფუსფუსე პერსონაჟთა ცხოვრებას.

2 ოქტომბერი გოდერძი ჩოხელის დაბადების დღეა .

სიკვდილთან დაძმობილებული გინახავთ ვინმე?

სიკვდილის შეყვარება შეძლებია ვინმე კაცთაგანს?

გოდერძი ჩოხელმა შეძლო. ხომ გახსოვთ, მისი ადამიანად მიწაზე ჩამოსული ხორციელი სიკვდილი რამხელა სიყვარულს ატარებდა. ისიც ხომ გახსოვთ, საფლავის ქვებს როგორ ელაპარაკებოდა, სიკვდილით დათრგუნვილი კაცის სასონარკვეთილება კი არა, დიდი სილაღე და სევდა იყო მის ყოველ ფრაზაში. “ეჰეი! არაგველებო, სადა ხართ?” ისმოდა ექოსავით თვითონ რეჟისორის ხმა და ეს კითხვა ბოლომდე თან დაჰყვებოდა. სულეთის ზღვაშიც ამ კითხვით დამძიმებული გულით გადაეშვა...

“უცებ მდინარის ტალღებისაგან მოტივტივე საფლავის ქვას მოჰკრა სებამ თვალი და დააკვირდა წარწერას.

- რა აწერია მამავ? - ჰკითხა შვილმა.

- რისთვის ბადებ უბედურსა, რისთვის შაჰყრი მთვარე-მზესა, - წაუკითხა მამამ.

- ვისია, მამავ?

- არ ვიცი, შვილო, ალბათ ვიღაც უბედურის, თავის სიცოცხლეში ვერაფერი სიხარული რომ ვერ ნახა ამ მზისა და მთვარის ქვეშ, წავიდა და მიწას ამოეფარა.

- ჩვენც უბედურები ვართ, მამავ?

- რატო, შვილო?

- ყველაფერი გაგვტაცა მდინარემ, სახლიც და საქონელიც. ბროლიაც, შენი მუზეუმიც.

- ნუ გეშინია შვილო, მთავარია, რომ ეს ფარდაგი არ გავატანეთ მდინარეს, სახლსაც ავაშენებთ, მუზეუმსაც, უფრო საიმედო ადგილას და ძველებურ ნივთებსაც კიდევ შევაგროვებთ.

- კიდობანი ზღვაში წაიღო, მამა?

- სულეთის ზღვაში წაიღო, მამა გენაცვალოს.

- მერე სად არის სულეთის ზღვა?

- ხმელეთი რომ გათავდება, ცის ნაპირი რომ გათავდება, აი, იქ არის სულეთის ზღვა...”

გოდერძი ჩოხელი უბედური არ ყოფილა. სიმდიდრე და უზრუნველი ცხოვრება არასოდეს ჰქონია, მაგრამ მზისა და მთვარის ქვეშ რასაც მისი თვალი მისწვდებოდა, ყველაფერი მისი არ იყო?

სამზეოს იყო და ყველაფერი უყვარდა: ნაძვიცა და კესანეც, ბილიკიცა და გულთაბოძიც. ეს კი ისეთი ბედნიერებაა! სულეთს გავიდა და მჯერა, იქაც სიყვარულით სავსეა. ჩვენთვის ხილული დარჩა მისი დედამიწაზე გატარებული 53 წელი. მთლიანად, ცხადია, ვერც ერთი წიგნი ვერ მოიცავს კაცის ცხოვრებას, მაგრამ ის ამბები, რომლებიც გოდერძიმ გაიხსენა თავის წარსულზე და რომლებიც სულ მალე წიგნად გამოიცემა, კიდევ ერთხელ დაგაბრუნებთ მისი ცხოვრების ამაღლებულ უბრალოებაში.

ყაზბეგელი დედობილი

დედაჩემი რო გარდაიცვალა, ძალიან დამაკლდა. გუდამაყარში შეხვევა აღარ მინდოდა, აქედან რო მივდიოდი. გული სულ ყაზბეგში მეზიდებოდა. ყაზბეგში მყავს მეგობარი გოდერძი მარსაგიშვილი. ყავს დედა, არაჩვეულებრივი, დედაჩემივით თბილი და მოსიყვარულე. ახლა 86 წლისაა. ეგეთი ლამაზი მოხუცი ქალი იშვიათად შემხვედრია. სათნო, თითქოს ღვთის ანგელოზიაო, უწყინარი. იმან დედა შემიცვალა. იმის მერე გავანებე თავი გუდამაყარს და ყაზბეგში დავიწყე გადაღებები, რო იმასთან დიდხანს ვყოფილიყავი.

მე და გოდერძი, როცა დრო გვქონდა, ვსვამდით. ერთ ოთახში ჩვენ გვეძინა, მეორეში - გოდერძის დედას - დეიდა ბაბალეს. რო ავდგებოდით, შემოვიდოდა შემოწმებაზე: აბა, წუხელ მთვრალები მოხვედით თუ ფხიზლებიო. გუგულიანი გადასაფარებლები ჰქონდა. დიდი გუგულები ეხატა. ვერ იტანდა რო შეგვბრუნებოდა. ჩვენ ავურევდით ხოლმე. ხან ერთ გუგულს ჰქონდა თავქვე თავი. ხან მეორეს აღმა. ის ვერ იტანდა. ორივე გუგულს თავს აღმა დაუწყობდა. თუ გუგულს თავი დაბლა ჰქონდა - ეეე... დაგილევიათ წუხელ და ველარ გაგიგიათ, გუგულს თავი საით უნდა ჰქონდესო.

გოდერძი ცდოელი დამარქვეს. მთლად ვერ გავხდი ცდოელი, მაგრამ მაინც. ჩოხი ისე მიყვარს... გვარიც და კუთხეც.

თარეშა

მახსოვს ერთხელ ჩემი მამალი მოიტაცა მელიამ. გააქანა. გამოვედევნეთ. რას დაეწევი მელიას. ძაღლი არა გვყავდა მაშინ. დედამ ატეხა ყვირილი, მეზობლის ძაღლს ეძახდა, - თარეშ, თარეშო, წაგვართვა მელიამ დონკიხოტიო. გამოვარდა თარეშაც სადღაციდან - კალოში ეძინა, ეტყობა. დაეწია მელიას და გააგდებინა მამალი.

მახსოვს, კარგა ხანს დიდ პატივში მყავდა თარეშა. წავისვამდი პურზე კარაქს ან ერბოს, დედაჩემის დასანახად ერთ ლუკმას მოვკბეჩდი, გამოვივლიდი კარს და სადაც იყო, მივუტანდი, თარეშას ვაჭმევდი ერბოიან პურს.

მამალი დონკიხოტი კიდე დიდხანს კოჭლობით დადიოდა...

მელიასაც რა გეგმები ჩაეშალა, არა? ღამე ჩასაფრდა, გამოვლენ დედლებიო, მერე მზე მოვაო... მელიაც ხო თავისას ფიქრობდა.

თარეშამაც კარგა ათრია აქეთ-იქით.

გეხვეწებით, გაუფრთხილდით სიმარტოვეში ეულად დარჩენილ ბებოებს...

ისედაც მიტოვებულ სოფელში მიატოვეს ბებო. ზაფხულში ვერ მოიცალეს შვილებმა, ზოგი სამსახურს იმიზეზებდა, ისეთ ადგილებზე მუშაობდნენ, გაცდენა არაფრით არ შეიძლებოდა. შვებულება თითქმის ოთხივემ ერთად აიღო, ოჯახებით აიყარნენ და ზღვაზე წავიდნენ. იქიდან დაბრუნებულებს კი, ისევ უამრავი გადაუდებელი საქმე ელოდებოდათ თბილისში. მთელი ზაფხული მოლოდინში გაატარა ბებომ. ერთთავად თვალებზე სანთელივით გაყვითლებულ ხეს იჩრდილებდა და გზას გაჰყურებდა. გზას გასათიბი ბალახი და შამბი მოსდებოდა. დილით ანდა ნისლიანში რომ მოგენდომებინა გავლა ამ გზით, ისე იყო ბალახი ცვარით დამძიმებული, წელს ქვემოთ უცებ დასველდებოდი. ბებოს იმედი ჰქონდა, რომ ადრე თუ გვიან გამოჩნდებოდნენ მისი შვილები, რძლები და შვილიშვილები, ამიტომ წინასწარ თადარიგს იჭერდა ნისლიან ამინდში. რამოდენიმეჯერ აივლ-ჩაივლიდა გზაზე. თან ჯოხით ცვარიან ბალახს ბერტყავდა, რომ „ქალაქელები“ არ ჩაელპო (ასე ეძახდა თავის შვილებს). სახინკლე ხორციც რამდენჯერ გაამზადა წინასწარ. სიზმარს ნახავდა ხოლმე, რომ ყველანი სახლში იყვნენ. დილაუთენია კი, როგორც კი მამალი საგათენებლო ზარს მორთავდა, იმ წუთში ლოგინიდან წამოდგებოდა ბებო, შვილიშვილებისათვის საგულდაგულოდ ჭინჭრის ფოთლებში გახვეულ სახინკლე ხორცს კარგად გარეცხავდა და, მამამთილისეული ხანჯლით წვრილად დაკეპავდა და სოფელში გავიდოდა, ერთი-ორი მასავით ბებერი კიდევ იყო ამ სოფელში. იმათთან ყვებოდა ბებო თავის წუხანდელ სიზმარს. – დღეს აუცილებლად ვინმე მოგივა, – ეუბნებოდნენ ისინი. ბებოც ელოდა. – შემოგევლოთ თქვენი ბებო, თქვე მამაძაღლებო, თქვენა, ეგრე უნდა ბებოს დავიწყება, რო ერთმა აღარ მომხედეთ. ქალაქელებს რა ყურს უგდებთ, დასხედით მანქანაზე და წამოდით. არ გიშვებენ განა? მოიცადეთ, ერთი აქ ამოვიდნენ, როგორ მივტყიპო ეგენი, რომ თქვენი თავი დამანატრეს. – შვილიშვილების სურათებს ეალერსებოდა ბებო. ამაოდ გაჰყურებდა სოფლის გზას. ამაოდ იჩრდილავდა თვალებზე ჩამომჭკნარ ხელს. ბინდდებოდა. გულმოკლული ბებო ხინკალს ახვევდა. თვითონ ისე შეკვროდა მოლოდინით გული, ლუკმასაც ვერ შეჭამდა, მაგრამ ამდენ ხანს ნალოლიავებელ ხინკლის გულს ისე ხომ არ გააფუჭებდა. ზაფხულობით იმათ მთებში ცხვრის ფარები იდგა და სახინკლე ხორცს ხან რომელი მწყემსი უწყალობებდა ბებოს, ხან რომელი. დუღდა ხინკლიანი ქვაბი. ნაღველი დუღდა ბებოს გულში. მერე ხონჩაზე ამოყრილ ხინკლებს ორთქლი ასდიოდა. მთელი სოფელი იმ ერთ პატარა ხონჩას შემოსხდომოდა და მაინც, კიდევ იყო სტუმრისთვის ადგილი დარჩენილი. ბებოს ერთ ხელში სანთელი ეჭირა, მეორეში – წყლით სავსე ჭიქა. რომელსაც სუფრის თავზე წაღმა ატრიალებდა და ილოცებოდა: – ღმერთმა მოიხსენოს, ვისი სულიც ამ სუფრას შემოსტრიალებდეს, ამ სახის დაკლებულებისაც და ყოველი ქრისტიანისა, ვისაც ხინკალი უყვარდა, დღეს კი ცოცხლები აღარ არიან. იმათ სულის სალხინო იყოს ეს სუფრა. იმათი სული ნათელში ამყოფოს მაღალმა ღმერთმა! – ამინ! – ამინ! – დასტურს იძლეოდნენ მეზობლები. ბებო ჩქარ-ჩქარა გადიოდა გარეთ და ღამეს აყურადებდა. მოსვლით კი მაინც არავინ მოდიოდა. ნელ-ნელა იწურებოდა ზაფხული. ძლივს თიბავდა ბებო ბალახს. მხარი სტკიოდა. მუხლებშიც ძალა აღარ ედგა. მალ-მალე ჩაიხვეოდა ხოლმე სათიბში და ძალას იკრებდა. შემოდგომა რომ დადგა, ტყეში გავიდა. შვილიშვილებისათვის თხილს და ძახველს კრეფდა. იმ წელს თბილი შემოდგომა იყო. ოქტომბრის ბოლოს აურია ცოტა. ბებო შეაშფოთა ამინდის გაჭირვეულებამ, საზამთრო შეშაზე დაიწყო ფიქრი. ახლა უკვე შვილების მოუსვლელობაზე კი არ დარდობს იმდენად, ალბათ ვინმეს რამე უჭირსო, ის უხეთქავდა გულს. – სად წავიდე, როგორ წავიდე, რო ესეთი საპყარი ვარ და ქალაქის გზაც არ ვიცი, – მეზობლებს შესჩიოდა ბებო. დამოკლდა დღე და გაგრძელდა უძილო ღამეები. ზამთრის სუნი დატრიალდა ჰაერში. მუხლები აუკანკალდა ბებოს. ცეცხლს, ცეცხლს, რომ როგორმე გაედნო თოვლი. ღამ-ღამობით საშინელ სიზმრებს ხედავდა: გარდაცვლილი მეუღლე ეპატიჟებოდა თავისთან. ბებო უარობდა, შვილიშვილების უნახავად როგორ წამოვიდე, კაცო, რა გულმა უნდა გამიძლოს სამარეში, იმათი რომ ვერა ვიცი და ისე წამოვიდეო. ციოდა. შიგნიდანაც შეჭირხლული იყო სახლის კედლები. რომ გამოიდარა, მზე გამოჩნდა. ცოტა დათბა. აგუგუნდნენ ზვავები. ბებო მყუდროში იჯდა და თავის დამჭკნარ ხელებს დაჰყურებდა. ფიქრობდა: ღმერთმა იცის, რაზე ფიქრობდა. იქნებ შვილებზე, იქნებ ქმარზე. იქნებ რომელიმე დღე ახსენდებოდა თავის ბალღობიდან. იქნება სულაც სხვა რამეზე ფიქრობდა ბებო, მაგრამ რაზეც არ უნდა ფიქრობდნენ სიბერეში ბებოები, შვილიშვილების სახე მაინც ერთთავად თვალწინ უდგათ. ჰოდა ფიქრობდა ბებო. დღე კი ილეოდა. ბებომ საღამოს საქონელს თივა დაუყარა და რაკი ცეცხლი ვერაფრით დაანთო, ლოგინში ჩაწვა. ჩაეძინა. შუაღამისას რაღაც საშინელმა ხმაურმა გამოაღვიძა. ტორტმანებდა მინა და სახლის მინებს ზრიალი გაჰქონდა. ლოგინში წამომჯდარი ბებო პირჯვარს იწერდა. ბნელი უშუშოდ დარჩენილს ზამთრის მოახლოების შეეშინდა. ჯერ კი მაინც იმედი ჰქონდა. გზას გაჰყურებდა. ის დღეც მოლოდინში დაღამდა. ღამე უსაშველოდ დიდხანს გაგრძელდა. დილით კი ... იმ ღამით ისეთი თოვლი მოსულიყო, სოფელში მისასვლელი გზაც კი აღარ ჩანდა. წყარომდე ძლივს გარეკეს იმ დღეს საქონელი. უშუშოდ დარჩა ბებო. დარჩა ზეციისა და მიწის ანაბარა. მიწაც თოვლით იყო დაფარული. თოვდა. გამოდარებას არ აპირებდა. თითქმის ორ კვირამდე ითოვა ასე. მეზობლების მიმოსვლა შეწყდა. საქონელს თოვლს უდნობდნენ და იმას ასმევდნენ. წყაროსაკენ გზის გამკვალავი აღარავინ იყო, თანაც ზვავისა ეშინოდათ. იმხელა თოვლი იყო, კაცმა არ იცოდა, საიდან მოვიდოდა ზვავი. ბებო აქა-იქ ეძებდა შეშის ნარჩენებს და იმით ანთებდა ღამე იყო და ფანჯარაში არაფერი ჩანდა. მიწისძვრას დააბრალა ბებომ ეს ამბავი. ცოტა ხანში გარემო ჩაჩუმდა. დაწყნარდა სახლი. ისევ ჩასთვლიმა ბებოს. დილით მამალმა გააღვიძა. ბებომ თვალები გაახილა და ყური მიუგდო. იქვე, სახლის ეზოში ყიოდა მამალი. – მელამა კი არ გამიწყვიტოს ქათმები – ლოგინიდან წამოდგა ბებო და გარეთ გაიხედა. გაოცებისგან კარგა ხანს ერთ ადგილას იდგა: მის ეზოში უზარმაზარი წიფლის ხე მოეტანა ზვავს და მის კენწეროზე მამალი ყიოდა. დანარჩენი ქათმები წიფლის ტოტებზე ისხდნენ აქა-იქ. ეტყობა, ზვავის ქარს საქათმე მოეგლიჯა და უსახლკაროდ დარჩენილ მამალს ამ წიფლის ხეზე შეეხიზნა თავისი ოჯახი მელიის შიშით. ბებო გაოცებას ვერ ფარავდა: ამდენი ხანი ამ სოფელში, ცხოვრობდა და არასოდეს ენახა აქ ზვავი. მამალი კი ისე ხმამაღლა და ლაღად გაჰკიოდა, თითქოს თავისი დღე და მოსწრება იმ წიფლის კენწეროზე ჰქონდა გატარებული. ბებომ საკენკი დაუყარა ქათმებს და ისინიც რიგ-რიგობით ჩამოფრინდნენ ძირს. მარტო მამალი არ ჩამოვიდა. მზის ამოსვლამდე იჯდა წიფლის კენწეროზე და ყიოდა. რაღაცა უხაროდა ბებოს. რა, თვითონაც არ იცოდა და ის-ის იყო ძროხების გამოშვება დააპირა მზეზე, რომ უცებ სახეგაბრწყინებული მიაჩერდა ეზოს კარებს. ეზოში ხმაურით შემოვიდა მისი ოთხივე ბიჭი. ასეთი დიდი სიხარულის განცდა ბებოს არასოდეს არ ჰქონია. მამალი კი ხის კენწეროზე იჯდა და ისე გადმოჰყურებდა ეზო-გარემოს, როგორც ერთადერთი მბრძანებელი თავის სამეფოსი. ხოლო მაშინღა იკადრა ძირს ჩამოსვლა, როცა ბიჭებმა ქურქები გაიხადეს და მოსაჭრელად მიადგნენ წიფელს. რაღაცით ჯობდა ის დღე მოლოდინით ფერმკრთალ დღეებს.

– მე რა მინდოდა?

– გეხვეწებით, გაუფრთხილდით სიმარტოვეში ეულად დარჩენილ ბებოებს

გოდერძი ჩოხელი

გახსენება

ნიკოლოზ გვრიტიშვილი (სტეფანიჩი)

სიკვდილზე შემზარავი და მონატრებაზე ძნელი არაფერი ყოფილა. გავიდა ცრემლიანი და მტკივნეული ერთი წელი შენი სიკვდილიდან. ეს ის სევდაა, რომელსაც ვერასოდეს შევეგუები. შენ იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნები, რომელიც ცხოვრებაში ერთხელ კვდება. ჩემო კოლა, 2 ოქტომბერი შენი დაბადების დღეა, რომელსაც უშენოდ ვხვდებით. დრო გადის, მაგრამ ტკივილი არ ყუჩდება. ძნელია უშენობა. დაბადების დღეს გილოცავთ სანთლებითა და ცრემლებით. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული. ძალიან გვენატრები, თვალებით გეძებთ ყველგან, მხოლოდ იმით ვუნუგეშებთ თავს, რომ მარადისობაში კვლავ შევხვდებით ერთმანეთს.

შენი შვილების და შვილიშვილების ანთებული სანთლები გინათებდეს სამარადისო სამყოფელს.

შენი მეუღლე და შვილები

„კოლხური ხოხბის აღდგენა მნიშვნელოვანია“...

ევროპული დიპლომის გადაცემის ცერემონიის შემდეგ ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ფრინველსაშენში გაზრდილი ხოხბები მინისტრმა და ევროპელმა სტუმარმა გაუშვეს. გარემოს გლობალური ფონდისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის - „კოლხური ხოხბის აღდგენა ბუნებრივ ჰაბიტატებში“ - ფარგლებში, ხოხბების მოშენება თავად დედოფლისწყაროში, არწივის ხეობაში მიმდინარეობს.

პროექტი 2014-2015 წლებში გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) დახმარებით ხორციელდება. პროექტის ფარგლებში აშენდა ინკუბატორის შენობა, რომელიც ავტონომიური მზის ელექტროსისტემით აღიჭურვა, ტყვეობაში გამრავლდა 300-მდე ხოხობი, რომელიც სამ სამონადირეო მეურნეობას და რამოდენიმე ოჯახს გაუნაწილდა.

თავის მხრივ მეორე წელს, ბენეფიციარების მიერ ტყვეობაში 200-მდე კოლხური ხოხობი იქნა გამრავლებული, მათი უმრავლესობა (150) ივრის, ალაზნისა და მტკვრის ჭალებში გაუშვეს. ხოლო, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების, მეგობართა ასოციაციის კოლხური ხოხბის საშენის მიმდებარე ტერიტორიაზე 2014 — 2015 წლებში 25 ხოხობი გაუშვეს, მათზე დანესებულია მონიტორინგი თანამედროვე ტექნოლოგიების (ტელემეტრის) გამოყენებით.

როგორც პროექტის ავტორი ამირან კოდიაშვილი ჩვენთან საუბრისას ამბობს, ნელს პროექტი დასასრულს უახლოვდება და შესაბამისად პროგრამის ბიუჯეტიც იწურება, თუმცა დიდი სურვილი აქვს, იგივე საქმიანობა მომავალშიც გააგრძელოს. ამისათვის ალტერნატიული გზების გამონახვას ცდილობს.

„კოლხური ხოხბის აღდგენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ეს ჯიშები მხოლოდ ოთხ ქვეყანაში გვხვდება, აზერბაიჯანში, სომხეთში, საქართველოსა და საბერძნეთში და მათი რიცხვი საკმაოდ შემცირებულია. მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ფონდებმა მხარი დაგვიჭირეს, ჩვენ დავიწყეთ მათი აღდგენა და ბუნებაში გაშვების გარდა, ასობით ინდივიდი ბენეფიციარ მეურნეობებს გადავეცით, რომ მათაც გააგრძელონ ეს საქმიანობა. თავდაპირველად უფრო მეტი მოლოდინი გვქონდა, ვვარაუდობდით რომ ათასამდე ხოხობის გაშვებას მოვახერხებდით, მაგრამ პრაქტიკამ სხვა სურათი გვიჩვენა. ყველაფრის მიუხედავად, ჩვენი მუშაობა მაინც წარმატებულად შეიძლება შეფასდეს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ტყვეობაში იზრდებიან, ველური თვისებები მაინც შენარჩუნებული აქვთ. ამასთან, მათთვის სიმყუდროვე მნიშვნელოვანია. თუ მყუდრო ადგილას არ ბუდობს, ასევერ გამრავლდება. მართალია ახლა დაფინანსება გვეწურება და პროექტი სრულდება, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ძირითადი ინფრასტრუქტურა ამ სახოხბეში უკვე მოწყობილია და სამომავლოდ ძალიან მიზერული თანხები დაგვჭირდება ისიც საიმისოდ, რომ სახოხბემ ფუნქციონირება შეძლოს და ელემენტარული ხარჯები დავფაროთ. მთავარი ხარჯები უკვე გაღებულია და ვიმედოვნებ, მუშაობის გაგრძელებას მოვახერხებთ.

ნაკრძალში გავუშვით ოთხი წყვილი ხოხობი, რომელიც ჩვენ გამოვზარდეთ. ზოგადად, შავი მთის ტერიტორიაზე გვყავს მდგრადი პოპულაცია, მაგრამ ახლა ავირჩიეთ სხვა ტერიტორია, კონკრეტულად ნაკრძალი, სადაც ხოხობი გვხვდება, მაგრამ ძალიან ცოტა ოდენობით. სივრცული განაწილება არათანაბარია. რა ადგილიც ახლა შევარჩიეთ, ვფიქრობთ, რომ ხოხბები სწორედ იქ აირჩევენ საბინადრო გარემოს და გამრავლდებიან. თავის მხრივ, ეს გარემოს დახმარება იქნება. რვავე ხოხობს აქვს გაკეთებული ე.წ. დარგოლვა, რის მიხედვითაც ისინი კონტროლდება.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ხოხბების უმრავლესობა ჰიბრიდული გვხვდებოდა, ჯიშობრივ დაბინძურებას ხშირად ჰქონდა ადგილი. ჩვენი პრიორიტეტი კი ისაა, რომ ეს ხაზი მკაცრად დავიცვათ. თავის დროზე დაცული ტერიტორიების სააგენტომ ხელი ძალიან შეგვიწყო და უფლება მოგცევა, ხოხბის კვერცხები სწორედ ნაკრძალის ტერიტორიიდან ამოგვეღო და ასე შევძელით მათი მომრავლება. ეს საქმე 24 კვერცხით დავიწყეთ, პირველ პერიოდში 74 ხოხბის მიღება მოვახერხეთ“.

ილია მარტყოფლიშვილი

სითბო, რომელიც ყველა ტკივილს გავიწყებს...

პოლიკლინიკის კიბეები ხალხით აივსო. ნათელა ექიმი (თამაზაშვილი) მთავარ შესასვლელთან იდგა და ხალხს რჩევა-დარიგებებს აძლევდა, თვალი კი ეზოსკენ ჰქონდა მოპყრობილი, სადაც წუთი-წუთ თბილისის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ექიმები უნდა შემოსულიყვნენ.

ნამგზავრებს არც კი შეუსვენიათ, ისე მოაწყეს სამედიცინო აპარატურა ოთახებში. რატომღაც გულმა პირველად ქირურგის კაბინეტისკენ გამიწია. ჩემი ჩივილების გულდასმით მოსმენის შემდეგ, ირაკლი ექიმმა თავისი სავიზიტო ბარათი გადმომცა და დინჯი ნაბიჯებით ტრავმატოლოგის კაბინეტამდე მიმაცილა. აღმოჩნდა, სისხლძარღვთა ქირურგსაც უნდა გამოეკვლია ჩემი ავადობის მიზეზი. ალბათ, ექიმი არ დამრჩა, კაბინეტში რომ არ მიმეკითხებინა.

სახლისკენ მიმავალს აღარც ექიმებთან რიგში დგომით გამოწვეული დაღლილობა მახსოვდა და არც აუტანელი ტკივილები. ეს ამ გულთბილი ადამიანების დამსახურება იყო. მიხაროდა, ამდენ ჰუმანურ ადამიანს განგებამ ერთ კლინიკაში რომ მოუყარა თავი. მეჩვენებოდა, ჰიპოკრატე სადღაც მათ ზურგს უკან აფიცებდა თითოეულ მათგანს თავის უფლება-მოვალეობას.

მადლობა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალურ დირექტორს, ბატონ ირაკლი კოხრეიძეს და მათი დაწესებულების სრულ პერსონალს, ასევე ჩვენს მთავრობას, რომლის ეგიდითაც ტარდება უკვე ოცდამეათეჯერ უფასო სამედიცინო გამოკვლევები და განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ ნათელა თამაზაშვილს, რომელიც დაუშრეტელი ენერგიით ხელმძღვანელობს მათ ყოველ ვიზიტს.

ჩვენი რაიონის ყველა მადლიერი პაციენტის სახელით,
თამარ ლოგჯანიძე.

ულოცავენ!

სს „არწივის ხეობის“ თანამშრომლები ვულოცავთ რამაზ ჯანაშვილსა და შორენა გოგაშვილს, ნინო წიკლაურს შვილების ანასა და გიორგის, გეურქა სანამიანს შვილების ანასა და არტურის ბედნიერებას.

ახალდაქორწინებულებს ვუსურვებთ ოჯახების სიმტკიცესა და აკვანთა სიმრავლეს.

იყიდება!

იყიდება ბინა ბელეტაჟით დედოფლისწყაროში, 9აპრილის ქუჩა N38, სამლოცველო სახლის ზემოთ. საწყისი ფასი 5000$. ☎ 555 51 42 00 იკითხეთ ნელი.

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 05.10	სამშაბათი 06.10	ოთხშაბათი 07.10	ხუთშაბათი 08.10	პარასკევი 09.10	შაბათი 10.10	კვირა 11.10
დღე	15 °	15 °	18 °	15 °	15 °	13 °	14 °	16 °
ღამე	14 °	14 °	15 °	12 °	12 °	13 °	13 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნარა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.